საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 133 (935)
პარასკევი, 29 ივლისი, 1994 წელი.
ფასი 15000 კუპონი

მის აღმატებულებას, ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,

საქართველოს რესპუბლიკა, თბილისი,

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ,

სიამოვნებით გაცნობებთ, რომ მე ახლახან გავეცი განკარგულება რათა შეერთებული შტატების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფი საკვები პროდუქტების მარაგიდან გაიცეს 100 ათასი ტონა ხორბალი და ამით დაკმაყოფილდეს საქართველოს ხალხის აუცილებელი მოთხოვნილებები მომავალი ზამთრისათვის. იმედი მაქვს, რომ ჩვენს ასეთ ნაბიჯს განიხილავთ, როგორც შეერთებული შტატების მიერ საქართველოს მიმართ ნაკისრი ვალდებულების კიდევ ერთ დადასტურებას დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკისკენ გარდამავალ რთულ გზაზე.

ვიცი, თუ რაოდენ რთულია თქვენს მიერ არჩეული გზა და მოწონებით ვხვდები თქვენს ძალისხმევას, რომლის მიზანია, ქვეყნის სტაბილიზაცია და პოლიტიკური და ეკონომიკური გაჯანსაღება. მსურს მომავალშიც ვითანამშრომლო თქვენთან, რათა ერთად უზრუნველვყოთ საქართველოს წარმატება და აყვავება.

გულწრფელად თქვენი
უილიამ ჯ. კლინტონი,
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.
27 ივლისი, 1994 წ.

ფართოვდება საქართველო-იაპონიის ურთიერთობა

27 ივლისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო იაპონია-საქართველოს ურთიერთობის ასოციაციის დელეგაცია, ასოციაციის პრეზიდენტის ქალბატონ ჰიროკო კაკოს ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინათ ასოციაციის ინიციატივით მოეწყო მარჯანიშვილის სახელობის თეატრისა და ანსამბლ „რუსთავის“ გასტროლები იაპონიაში. ამჟამად სტუმრებს ახლავს იაპონიის ერთ-ერთი უდიდესი საინფორმაციო სააგენტოს კიოდო ნიუსის რედაქტორი ბატონი ჩოგა, რომლის მიზანია ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს იაპონელ მკითხველს საქართველოში დღეს არსებული ვითარების შესახებ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა იაპონელ სტუმრებს იმ ძალისხმევისათვის, რომელსაც ისინი იჩენენ ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ და აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების საერთო სტაბილიზაციის ფონზე ისახება ახალი პერსპექტივები საქართველო-იაპონიის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.

შეხვედრის დასასრულს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა იაპონიის საინფორმაციო სააგენტოს კიოდო ნიუსის კორესპონდენტის შეკითხვებს.

საქართველო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის წევრია

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის დელეგაცია მისი დირექტორის გლენ შვაიცერის ხელმძღვანელობით. დელეგაციის წარმომადგენლებმა სახელმწიფოს მეთაურს გააცნეს სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის შექმნის ისტორია და უახლოესი გეგმები.

როგორც საუბრიდან გამოირკვა, რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და ევროგაერთიანების ეგიდით დაფუძნებული სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის მიზანია დაეხმაროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, კონვერსიის საკითხებში, აგრეთვე ხელი შეუწყოს ამ ქვეყნების ეკონომიკის აღორძინებას. აქვე აღინიშნა, რომ საქართველო დიდი ხანი არ არის, რაც აღნიშნული ცენტრის სრულფასოვანი წევრი გახდა. საქართველოში მათი ამჟამინდელი ვიზიტის მიზანია განიხილონ ქართველი მეცნიერების მიერ მომზადებული კონკრეტული პროექტები და ხელი შეუწყონ მათს განხორციელებას. სწორედ ამ მიზნით თბილისში გაიმართება სემინარი, რომელიც ხელს შეუწყობს ქართველი და უცხოელი კოლეგების დაახლოებას და მომავალ თანამშრომლობას.

სახელმწიფოს მეთაური მიესალმა საქართველოსთან თანამშრომლობით ცენტრის დაინტერესებას და აღნიშნა, რომ საქართველოს მართლაც დიდი პოტენციალი აქვს მეცნიერების სფეროში. ეს თანამშრომლობა რამდენადმე შეაჩერებს ამ კადრების გაბნევას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და გარკვეულ სტიმულს მისცემს მათ მომავალ მუშაობას.

ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა ჩარლზ ვაიერბენქსს

27 ივლისს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ჯონს ჰოფქინსის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის უმაღლესი სკოლის პროფესორი, ისტორიკოსი ჩარლზ ვაიერბენქსი.

საუბარი შეეხო საქართველოს უახლეს ისტორიასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამყაროს ტრანსფორმაციის პროცესებს, რომელშიც საქართველოს სახელმწიფოს მეთაური უშუალოდ მონაწილეობდა.

საქართველო-თურქეთი: თანამშრომლობის ჰორიზონტები

27 ივლისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს პრეზიდენტს ბატონ უმუდ თარიქს. აღნიშნული სააგენტო ეხმარება განვითარებად ქვეყნებს ეკონომიკური პროექტების მომზადებასა და დაფინანსებაში, ასევე ფართოდ თანამშრომლობს საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ ორგანიზაციებთან. შეხვედრაზე ითქვა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაფორმდა თანამშრომლობის ოქმი, რომელიც მოიცავს მრავალ საკითხს, უწინარესად, თანამშრომლობას ტურიზმის სფეროში. ისიც აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა მხოლოდ ტურიზმით არ შემოიფარგლება და სხვა პროექტებსაც მალე მოაწერენ ხელს.

სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა ის უდიდესი ინტერესი, რომელსაც საქართველოში ავლენენ თურქეთის საქმიანი წრეების მიმართ, რომ საჭიროა ამ პროცესის მაქსიმალურად ხელშეწყობა და განვითარება.

შეხვედრას ესწრებოდა თურქეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ბატონი ოქიაუზი.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

შევარდნაძე შეხვდა ჭანტურიას

როგორც სარწმუნო წყაროებიდან სააგენტო ბს-პრესს-ისთვის გახდა ცნობილი, 27 ივლისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ე. შევარდნაძემ მიიღო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გ. ჭანტურია. საუბარი მიმდინარეობდა დახურულ კარს მიღმა.

შეიქმნა სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობა

საქართველოს რესპუბლიკასა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაღრმავების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობა ჩინეთის რესპუბლიკაში.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით ნიკოლოზ ლავრენტის ძე გულიაშვილი დამტკიცდა ჩინეთის რესპუბლიკაში საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკურ წარმომადგენლად.

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება

1994 წლის 30 ოქტომბერს ნომერ 1/2 ვაკის საარჩევნო ოლქში არჩევნების დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს საქართველოს პარლამენტის გამოკლებული დეპუტატის არჩევნები 1994 წლის 30 ოქტომბერს ნომერ 1/2 ვაკის საარჩევნო ოლქში.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ზესაშვილი.

აფხაზეთი: სამშვიდობო ძალები, გაერო და სხვა ორგანიზაციები ყველაფერს იღონებენ მშობლიურ კერაზე ლტოლვილთა დასაბრუნებლად

მიტინგი რუხში

27 ივლისს ზუგდიდში ჩამოვიდა რუსეთის ფედერაციული საბჭოს დელეგაცია ვადიმ გუსტოვის ხელმძღვანელობით. დელეგაციაში შედიან რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი, რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი და სხვა ოფიციალური პირები.

ენგურის ხიდთან სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლები.

სტუმრები შეხვდნენ აფხაზეთიდან დევნილებს და მშვიდობიანი საპროტესტო აქციის მონაწილეებს. გაიმართა მიტინგი, რომელსაც 30 ათასზე მეტი კაცი დაესწრო. მიტინგი გახსნა გალის გამგებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, რომელმაც რუს პარლამენტარებს მოახსენა, რომ მშვიდობიანი აქცია რამდენიმე დღეა მიმდინარეობს ერთი მისწრაფებით — სამშვიდობო ძალებმა, გაერომ და სხვა ორგანიზაციებმა ყველაფერი იღონონ მშობლიურ კერაზე მათი დაბრუნებისათვის.

მიტინგზე გამოსულმა ლტოლვილებმა, ქართველი, რუსი და სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა თავიანთ სიტყვებში გამოხატეს საერთო გულისთქმა და გამოთქვეს რწმენა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების აქტიური ძალისხმევით შესაძლებელი იქნება ლტოლვილთა დაბრუნების გაჭიანურებული პროცესის დაჩქარება, კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება.

მიტინგზე გამოვიდნენ ბატონები ვადიმ გუსტოვი და ბორის პასტუხოვი. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, კერძოდ, თქვა, რომ ისინი მოწადინებული არიან ყოველმხრივ შეისწავლონ დევნილი ქართველი მოსახლეობის დაბრუნებასთან დაკავშირებული ყველა ასპექტი, მათ შორის სამშვიდობო ძალების განლაგებასა და მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები. ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია მოსახლეობის დაბრუნების მექანიზმის სრულყოფის კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა, სარეგისტრაციო ბარათების შევსება გალის რაიონში პირველ ეტაპზე დასაბრუნებლად, სოფლებისა და დასახლებული პუნქტების დროული შერჩევა.

ისინი აქციის მონაწილეებს დაჰპირდნენ, რომ მოსკოვში წარადგენენ ზუსტ, ობიექტურ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორია რეალური სურათი და ის ხელისშემშლელი პირობები, რომელთა გამო ჭიანურდება გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების პროცესი.

ბატონების გუსტოვისა და პასტუხოვის პოზიცია, რომელიც როგორც თქვეს, ასახავს დელეგაციის აზრს, პრინციპულია იმ მხრივ, რომ ჭიანურდება ლტოლვილთა დაბრუნება და უნდა განხორციელდეს ყველა ღონისძიება მის დასაჩქარებლად. მათ აღუთქვეს მოსახლეობას, რომ ამ რეკომენდაციებით წარდგებიან რუსეთის ხელისუფლების წინაშე. აქციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა, რომელშიც გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება დაბრუნების პროცესის გაჭიანურების გამო, და რწმენა, რომ რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების მონდომებითა და აქტიურობით შესრულდება შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა პუნქტი და დევნილები დაუბრუნდებიან მშობლიურ ადგილებს. მიმართვაში აგრეთვე ნათქვამია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ლტოლვილთა ფსიქოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით მოსალოდნელია არაორგანიზებული სტიქიური გადასვლის მცდელობა, რასაც შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს.

მიტინგმა ურთიერთგაგების, კეთილგანწყობის, კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა.

აქციის მონაწილეებმა გადაწყვიტეს ყველა მხარეს საშუალება მისცენ და თუ სასურველი შედეგები უახლოეს ხანში არ იქნება მიღწეული, კვლავ მიმართონ საკუთარ ინიციატივას.

მიტინგის შემდეგ რუსეთის დელეგაცია სოხუმს გაემგზავრა.

აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი.

ინფორმაციები ზუგდიდიდან

28 ივლისს ზუგდიდში ჩამოვიდა თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პოლიტიკური ოფიცერი სტივენ როჯი და ამერიკის შეერთებული შტატების ოფიცერი სოთია მონდისი. ისინი შეხვდნენ ზუგდიდის რაიონის გამგებელს ე. ჩარგაზიას. შემდეგ ისინი იყვნენ სამშვიდობო ჯარების ქართველ მეთვალყურეთა ჯგუფის შტაბში. ესაუბრნენ რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხრეთის ზონის სარდლობას.

• • •

28 ივლისს გალის გამგეობაში გაიმართა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გამგეობის წევრებმა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელმა ქალბატონმა ქეთი გორბონმა. შეხვედრაზე განიხილეს ლტოლვილთა ანკეტების შევსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

„ვიმეორებ, ახლა ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორი პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგმება. რა თქმა უნდა, ამიერიდან ყველაფერი რუსეთზეა დამოკიდებული. მე უკვე არაერთხელ ვთქვი, რომ ჩვენ ვენდეთ რუსეთს, მის ხელმძღვანელობას, სამხედროებსა და დიპლომატებს და მინდა მჯეროდეს, რომ ჩვენ არ შევმცდარვართ და არ შეცდებიან ჩვენი ლტოლვილები.

ედუარდ შევარდნაძე.
25 ივლისის რადიოინტერვიუდან.“

ბორის პასტუხოვი: ჩემი მიზანია დავარწმუნო კოლეგები ლტოლვილთა დაბრუნების აუცილებლობაში

— **რა** კავშირშია გალში ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის გაჭიანურება აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრასთან?

საქინფორმის კორესპონდენტის ამ შეკითხვაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბორის პასტუხოვმა განაცხადა: გალიდან ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის გაჭიანურება არავითარ კავშირში არ არის აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსთან.

სამწუხაროდ, რუსეთში არიან პოლიტიკური ძალები, რომლებსაც სურთ შეაფერხონ ლტოლვილთა დაბრუნება. ჩემი ჩამოსვლის მიზანია კიდევ ერთხელ ადგილზე შევისწავლო ვითარება და ჩემი კოლეგები დავარწმუნო ლტოლვილთა დაბრუნების აუცილებლობაში.

ლტოლვილთა პრობლემების შესწავლის მიზნით

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 27 ივლისს ზუგდიდში ჩამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი, საქართველოს პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელი ვასილ კაჭარავა. მათი ჩამოსვლის მიზანია იძულებით ადგილნაცვალ პირთა გალში დაბრუნებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.

გაიმართა თათბირი ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე, სახელმწიფო მინისტრი გივი ლომინაძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია, გალის რაიონის გამგებელი ვახტანგ ყოლბაია.

განიხილეს გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნებასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარება, იმსჯელეს ლტოლვილთა საპროტესტო აქციის შესახებ, რომელიც რამდენიმე დღეა გრძელდება. განიხილეს კონკრეტული საკითხი ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის დაჩქარებასთან დაკავშირებით.

აქ ასევე ელოდებიან რუსეთის პარლამენტის ფედერაციული საბჭოს დელეგაციის ერთი ჯგუფის ჩამოსვლას.

როგორი იქნება თბილისი ხვალ?

ბოლო წლებში ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების შედეგად თბილისმა დიდი ცვლილებები განიცადა. მის წინაშე უამრავი პრობლემა წამოიჭრა, ქალაქმა ლამის თავისი სახე დაკარგა, სტიქიურად გაჩნდა რეკონსტრუქციის ზონები, და, საერთოდ, სტიქიურობა ქალაქის აღმშენებლობის საქმეს იმდენად დაემჩნა, რომ სასწრაფოდ არის მისაღები ღონისძიებები, რათა თბილისს არ დაეკარგოს დედაქალაქის სახე.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თანდათან იცვლება ქალაქის ფუნქცია. დღეს თბილისი არა მარტო დამოუკიდებელი სახელმწიფოს დედაქალაქია, არამედ მომავალში ის შეიძლება საერთაშორისო პოლიტიკურ-დიპლომატიურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ინფორმაციულ და საბიზნესო ურთიერთობათა საერთაშორისო ცენტრიც გახდეს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით საჭიროა დღესვე დავიწყოთ თბილისის მომავალზე ფიქრი და ქალაქმა მარტო დღევანდელი პრობლემებით არ იცხოვროს. ამ მიზანს ემსახურებოდა 28 ივლისს „თბილქალაქპროექტის“ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში გამართული ქალაქის მერიის მუნიციპალიტეტის კაბინეტის გამსვლელი სხდომა, რომელზეც იმსჯელეს თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ახალი (მეოთხე) გენერალური გეგმის დამუშავებისათვის მზადების შესახებ. სხდომაზე მოწვეული იყვნენ მინისტრთა კაბინეტის წევრები, სხვადასხვა უწყებებისა და სამსახურების ხელმძღვანელები, თბილისის რაიონების გამგებლები, ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები, სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ახალი გენერალური გეგმის დამუშავებისათვის მზადების შესახებ მოხსენება გააკეთა თბილისის მთავარმა არქიტექტორმა ირაკლი მასხარაშვილმა, თანამომხსენება — „თბილქალაქპროექტის“ ქალაქგეგმარების სამმართველოს უფროსმა, თბილისის გენერალური გეგმის ავტორმა გივი შავდიამ.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. მან კერძოდ თქვა: **ჩემი აზრით, დღევანდელ შეხვედრას ფართო მნიშვნელობა აქვს. რადგან უკვე ვლაპარაკობთ ქალაქის განვითარების გენერალურ გეგმაზე, მშენებლობაზე, არქიტექტურაზე, უკვე სადღაც ახლოს ვართ იმ ზღვართან, როცა ნგრევა უნდა დამთავრდეს და აღმშენებლობა დაიწყოს. ამიტომაც ეს შეხვედრა, გარკვეული აზრით, სიმბოლური მნიშვნელობისაც არის. ვეთანხმები გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ საჭიროა პრინციპულად ახალი იდეოლოგია, მსოფლმხედველობა, როცა ქალაქის ქვეყნის განვითარების პერსპექტივებზე ვლაპარაკობთ. ამის საფუძველი უნდა იყოს კონსტიტუცია, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს თუ როგორი იქნება სახელმწიფოს ხასიათი, ბუნება, ტერიტორიული მოწყობა...**

სახელმწიფოს მეთაური დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ სანამ ახალი პრინციპების, წყობის, თანაცხოვრების ახალი წესებით განსაზღვრული გენერალური გეგმა შემუშავდება, უნდა ვიხელმძღვანელოთ გარდამავალი ეტაპისათვის შექმნილი რამდენიმეწლიანი გეგმით, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ სტიქიურობას ქალაქმშენებლობის საქმეში. სტიქიურობამ, რაც უნდა მოკლე დროში განხორციელდეს იგი, შეიძლება იმდენად მძიმე კვალი დატოვოს, რომ მის გამოსწორებას ათჯერ მეტი დრო დასჭირდეს.

გარდამავალი ეტაპი აუცილებელია, თქვა მან. ამ დროში უნდა ჩამოყალიბდეს დედაქალაქის ახალი როლი, მისი ადგილი, ეს დრო იმისთვისაც იქნება საჭირო, რომ ჩვენი შეხედულებებიც რეალურად გარდაიქმნას. ადრინდელი აზროვნებისათვის დამახასიათებელი იყო სტანდარტულობა მშენებლობაში, არქიტექტურაში, ცხოვრებაშიც კი. ეს მთელი ეპოქა იყო, რომელმაც თავისი კვალი ჩვენს აზროვნებასაც დაამჩნია. უნიფიცირება არქიტექტურაში, ქალაქის მშენებლობაში — ეს არის ერთფეროვნება, რომელსაც თაობებიც კი ვერ გამოასწორებენ. ახლაც ვფიქრობ, ალბათ, სჯობდა უფრო ნაკლები აგვეშენებინა, [illegible], ვიდრე ერთფეროვნების აღმოფხვრაზე გვეზრუნა.

სახელმწიფოს მეთაურის აზრით, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თბილისი არის დამოუკიდებელი სახელმწიფოს დედაქალაქი, რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ ახალ პირობებში ცხოვრება ახლებურად მოაზროვნე მოქალაქეების წარმოშობს. ფაქტობრივად, ახალი დამკვეთი იბადება. ეს ყველაფერი შეიძლება ხვალინდელი დღის სათქმელი იყოს, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ქალაქმშენებლობის გენერალურ გეგმაში.

საჭიროა საჯაროდ განვიხილოთ ის კონცეფციები, მიმართულებები, რომლებიც საფუძვლად დაედება გენერალურ გეგმას, — განაგრძო ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. — ამ კონცეფციაში გათვალისწინებული უნდა იყოს ის, რომ როგორც აქ ითქვა, თბილისი არა მარტო ერთ-ერთი ქვეყნის დედაქალაქი იქნება, არამედ ის იქნება მეცნიერთა, პოლიტიკოსთა, კულტურის მოღვაწეთა შეხვედრის საერთაშორისო ცენტრი. აქ შესაძლოა ახლო მომავალში თავმოყრილი იყოს უამრავი ბანკი. რაც შეეხება საქართველოს, როგორც ევრაზიის დერეფანს, იგი აუცილებლად მოიტანს სიკეთეს. თუმცა სიძნელეებიც იქნება. ყოველივე ამის გაგებით ჩვენმა არქიტექტორებმა, მშენებლებმა ბევრი რამ უნდა გაითვალისწინონ, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავკარგოთ თბილისური კოლორიტი, რომელშიც მრავალსაუკუნოვანი ისტორია იკითხება. ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იქნება ამ კოლორიტის შენარჩუნება-გადარჩენა.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ დიდი სამუშაოებია შესასრულებელი საკანონმდებლო და სანორმატივო ბაზის შესაქმნელად, ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ტერიტორიული მოწყობის პრინციპებზეც. მან დადებითად შეაფასა მიწის რესურსების სამმართველოს მიერ გაწეული მუშაობა კადასტრის საკითხებთან დაკავშირებით. საქართველოს კადასტრის შექმნა ხომ ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა, რათა ვიცოდეთ რა გვაქვს, რისი მფლობელები ვართ. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ საჭიროა ანალოგიური შეხვედრები მოეწყოს რესპუბლიკური მასშტაბითაც, რადგანაც არანაკლებ სტიქიური მშენებლობები ხორციელდება რაიონებშიც.

სახელმწიფოს მეთაურს მიაჩნია, რომ ყველა დაფინანსების საკუთარ წყაროებს უნდა დაეყრდნოს. ამ მხრივ დედაქალაქი ფართო გაგებით, უნდა იყოს ერთგვარი ლაბორატორია — სამეცნიერო ცენტრი დაგეგმარებაში, არქიტექტურაში, საფინანსო წყაროების ძიებაში. ამ მიზნით თბილისს გარკვეული უფლებები უკვე აქვს მინიჭებული, პირველი ხელშესახები შედეგებიც სახეზეა, თუნდაც ის, რომ თბილისში დაიწყო ფიქრი და მუშაობა ქალაქის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ახალი გენერალური გეგმის შექმნისათვის.

ნინო თათრულაძე,
საქინფორმის კორ.

აქტუალური ინტერვიუ

თევზსაც დაუგროვდა... სათქმელი

წლეულს, გაერთიანება „საქთევზმრეწვის“ ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო კონცერნი „საქთევზი“, მისი პრეზიდენტია პროფესიონალი, ამ საქმის შესანიშნავი მცოდნე დევის კარტოზია, დაიბადა 1929 წელს, 1949 წლიდან უკვე თევზის მრეწველობაშია, თავიდან ნოვოროსიისკში თევზსაჭერ გემზე მოტორისტად მუშაობდა, მერე მექანიკოსად, უფროს მექანიკოსად, ცურავდა კალინინგრადის პორტის გემებზე. 1963 წლიდან საქართველოს პირველ თევზსაჭერ გემ „შოთა რუსთაველზე“ უფროს მექანიკოსად გადმოიყვანეს. ერთი წლის შემდეგ, როცა ფოთში საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველო ჩამოყალიბდა, მუშაობდა ექსპლუატაციის უფროსად, მთავარ ინჟინრად, 1969 წლიდან — სამმართველოს უფროსად. 1972 წელს ფოთის გემთშემკეთებელ-გემთმშენებელი ქარხნის დირექტორია. 1974 წელს ისევ დააბრუნეს ფოთში სამმართველოს უფროსად.

დევის კარტოზიას ესაუბრება ჩვენი კორესპონდენტი ლალი ქინქლაძე.

— რატომ არა აქვს საქართველოს მოსახლეობას თევზი?

— 1969 წლამდე ჩვენთან წელიწადში 200-300 ტონამდე შავი ზღვის ქაფშიას იჭერდნენ.

ამ დროისათვის განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საქართველოს საოკეანო თევზსაჭერი ფლოტის შექმნას, ამასთან, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თევზგადამამუშავებელი საწარმოების ტექნიკურ მოდერნიზაციასა და მისი სიმძლავრეების გადიდებას, თევზსაჭერი ფლოტის სარემონტო ბაზის შექმნას, შავი ზღვის სანაპიროს მეთევზეთა კოლმეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. სწორედ ამ წლებში შეიქმნა სოფლის მეურნეობისთვის გამოუყენებელ ტერიტორიებზე სატბორე მეთევზეობის მეურნეობები, თევზმოპოვება საკმაოდ გაიზარდა, გაფართოვდა სამაცივრო მოცულობები, გაუმჯობესდა თევზის გასაღების სისტემა.

იმ ხანებში ყოფილი სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამი წამყვანი აუზის ხელმძღვანელები ქართველები იყვნენ: შორეულ აღმოსავლეთში — შალვა ნადიბაიძე, მურმანსკში — პლატონ საპანაძე, ხოლო რუსეთის დასავლეთში — ვალერიან ჯაფარიძე. პლატონ საპანაძემ, შეიძლება ითქვას, სათავე დაუდო ჩვენში ამ დარგის აღმავლობას. იგი 60-იან წლებში ჩამოვიდა სამშობლოში და ჯიუტად იმსახურა მას. მან რუსეთიდან მოიზიდა ჩვენგან წასული პროფესიონალები და ქართველ მეთევზეთა დიდებული კოლექტივი ჩამოაყალიბა. საქმე საათივით ჰქონდა აწყობილი, არც თევზი აკლდა ქვეყანას და არც მისი პროდუქტები.

1964 წელს, ფოთში, შეიქმნა საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველო, რომელიც შედიოდა გაერთიანება „საქთევზმრეწვში“. ჩვენს საოკეანო თევზსაჭერ ფლოტს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა რესპუბლიკის მოსახლეობის თევზის პროდუქტებით მომარაგების საქმეში. 70-80-იან წლებში ფლოტის მიერ ოკეანეებში მოპოვებული თევზის პროდუქცია საშუალოდ 65 ათას ტონას შეადგენდა, ხოლო საქართველოს შავი ზღვის სივრცეში საშუალოდ 80-100 ათასი ტონა შავი ზღვის ქაფშიას ვიჭერდით. გაერთიანება „საქთევზმრეწვის“ სისტემაში შემავალ შიდა წყალსატევებსა და თევზის სატბორე მეურნეობებში ორი ათას ტონამდე ნედლ თევზსაც იჭერდნენ. ასე იყო.

ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან დღემდე საქართველოს თევზის მრეწველობამ დიდი სტრუქტურული ცვლილებები განიცადა. ერთიანი თევზის მრეწველობა დაიშალა და არაკომპეტენტური ხელმძღვანელობის წყალობით დარგში სრული განუკითხაობა გამეფდა. გაჩანაგდა ბალანსზე არსებული საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მინიმუმამდე შემცირდა თევზჭერა როგორც ოკეანეებსა და გახსნილ ზღვებში, ასევე წყალსატევებსა და სატბორე მეთევზეობის მეურნეობებშიც.

1987 წელს ყოვლად გაუმართლებელი გადაწყვეტილება მიიღეს და გაერთიანება „საქთევზმრეწვი“ თბილისიდან ფოთში გადაიტანეს, ამით ფაქტობრივად ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველომ დაკარგა იურიდიული პირის უფლება და იგი „საქთევზმრეწვს“ შეერწყა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამაც მოადუნა ყურადღება დარგისადმი და ქალაქის მესვეურებსაც აღარ აინტერესებდათ მისი მომავალი. გაუგებრობად და დანაშაულადაც კი შეიძლება ჩაითვალოს, ფოთის ნავსადგურის გემმისადგომზე არსებული „საქთევზმრეწვის“ 2800-ტონიანი, რკინიგზის ჩიხით, ამწეებითა და სხვა დამხმარე მექანიზმებით აღჭურვილი მაცივრის აღება. მაგრამ ვინ იყო განმკითხავი?! შენობა აიღეს „უსახური ნაგებობის“ იარლიყით და ახლა მის ადგილას აგებული შადრევნიდან უღვთოდ იღვრება წყალი.

ამჟამად ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოში 13 საოკეანო თევზსაჭერი და 4 საშუალო ზომის შავი ზღვისათვის განკუთვნილი გემი პარალიზებულია. აქედან, სამი თევზსაჭერი გემი მთლიანად გაძარცულია, ისინი იმდენად უვარგისია, რომ მხოლოდ ჯართად თუ გამოდგება.

ამ სამი გემის გაყიდვა გვინდა. მართალია, არაპროფესიონალებში ეს ამბავი დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს, მაგრამ ვინც საქმეს კარგად ჩაუკვირდება, გაიგებს, რომ უვარგისი გემების გაყიდვით შეიძლება ჩვენი ფლოტი განვაახლოთ და საქმე წინ წავწიოთ. ისე, ფულიც რომ გვქონდეს, ჩვენს გემებს ვინღა შეაკეთებს?

დღეს „საქთევზმრეწვს“ თევზსაჭერი ფლოტისთვის საჭირო ბაზა აღარ აქვს. ქარხანა თავს არიდებს თავისი ძირითადი დანიშნულების, კერძოდ, თევზსაჭერი გემების შეკეთებას. და ეს ხდება იმიტომ, რომ მათი შეკეთება გა-

(დასასრული მე-2 გვ.)

სურათები გაიტაცეს

1994 წლის 27 ივლისს, 4 საათზე ყაჩაღური თავდასხმის შედეგად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან გაიტაცეს მნიშვნელოვანი მხატვრული ღირებულების სამი სურათი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შ. კვირაიას, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსს ი. გიორგაძეს დაევალათ მიიღონ საგანგებო ზომები დამნაშავეთა დაუყოვნებლივ დასაკავებლად და გატაცებული სურათების დასაბრუნებლად.

განკარგულებით საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა 1994 წლის 12 აგვისტოს საგანგებო საკოორდინაციო კომისიის სხდომაზე მოახსენოს სახელმწიფოს მეთაურს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა და საერთოდ მუზეუმების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

დანიშვნა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით გურამ ბენედიქტეს ძე ქაშაკაშვილი დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის სამთო-მეტალურგიული მრეწველობის სახელმწიფო კონცერნ „საქსამთომეტალურგის“ პრეზიდენტად.

ფარნაოზ ლაპიაშვილის დაკრძალვის მოწყობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა საქართველოს სახალხო მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, თბილისის სამხატვრო აკადემიის კათედრის გამგის, პროფესორ ფარნაოზ გიორგის ძე ლაპიაშვილის დაკრძალვის მოსაწყობად კომისია ირაკლი მენაღარიშვილის (თავმჯდომარე), ელგუჯა ამაშუკელის, გივი ბაკურაძის, გიორგი გუნიას, გია ლორთქიფანიძის, დავით მაღრაძის, შალვა ოგბაიძის, რევაზ ჩხეიძის, სოსო ქოიავას, ნოდარ ჭანბერიძის შემადგენლობით.

ფარნაოზ ლაპიაშვილი დაიკრძალება დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
საკოორდინაციო საგანგებო კომისიის უფლებამოსილების შესახებ

„დამნაშავეობასთან ბრძოლის გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 12 ივლისის 227 ბრძანებულებით შექმნილ საკოორდინაციო საგანგებო კომისიას მიენიჭოს უფლებამოსილება:

განიხილოს ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის, მართლწესრიგის განმტკიცების, თავდაცვის, უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის კოორდინაციის ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარებისა და სხვა აქტუალური საკითხები, რომლებიც შედის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის კომპეტენციაში.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 27 ივლისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოების საქმიანობაში უკანონო ჩარევის ფაქტების აღკვეთის შესახებ

სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები და მოსამართლეები სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ მათ საქმიანობაში საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირთა უკანონო ჩარევის გამო. ასეთი ფაქტების აღკვეთის მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა (ჯ. ბაბილაშვილი), საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა (შ. კვირაია), საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსმა (ი. გიორგაძე), საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა (თ. ნინიძე) განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოებისათვის საქმეთა ობიექტური, მიუკერძოებელი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პირობების უზრუნველსაყოფად.
2. უკანონო გადაწყვეტილების მიღწევის მიზნით გამომძიებელზე, მოსამართლეზე, სამართალდამცავ ორგანოთა სხვა თანამშრომლებზე ზემოქმედების ყოველი ფაქტი, რა ფორმითაც უნდა მოხდეს იგი, მოხსენდეს სახელმწიფოს მეთაურს.
3. საკოორდინაციო საგანგებო კომისიის სხდომებზე სისტემატურად განიხილონ ამ განკარგულების შესრულების მიმდინარეობა.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 27 ივლისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
ზოგიერთი კერძო საწარმოს უკანონო მოქმედებათა გამო დაზარალებული მოქალაქეების კოლექტიური განცხადებების შესახებ

საქართველოს პარლამენტს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, კოლექტიური განცხადებებით მომართავენ მოქალაქეები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ქონებრივი ზარალი განიცადეს კერძო საწარმოების „აჩის“, „ოქროს თავთავის“, „ბუმერანგის“ და სხვათა უკანონო მოქმედებებით.

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები კერძო საწარმოების იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომელთა უკანონო მოქმედებებით მოქალაქეებს მიადგათ ქონებრივი ზარალი.
2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს პარლამენტში შეტანილია კანონპროექტები სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე, სადაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის გამკაცრება ქონებრივ და სამეურნეო სფეროში ჩადენილი დანაშაულებებისათვის ახალი ეკონომიკური ურთიერთობის გათვალისწინებით.
3. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა შეიმუშაოს ქმედითი ნორმატიული მექანიზმი და ორგანიზაციული ღონისძიებები სავალუტო საქმიანობის წარმოებისათვის ლიცენზიების გაცემასა და ლიცენზირებული საწარმოების საქმიანობაზე.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 27 ივლისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება

უცხოეთის სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში ბოლო დროს ხშირად ისმის ოპოზიციის მიერ გამართულ მიტინგებზე გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოში არიან პოლიტპატიმრები. საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ყოველთვის დაუშვებლად მიაჩნდა და მიაჩნია ადამიანის დაპატიმრება პოლიტიკური შეხედულებების და მრწამსის გამო, რაც ადამიანის უფლებათა შელახვაა და ეწინააღმდეგება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ჩვენს ძირითად პრინციპებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით და იმ მიზნით, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, არიან თუ არა საქართველოში პოლიტპატიმრები:

1. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ჯ. ბაბილაშვილს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარეს ა. კავსაძეს, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს თ. ნინიძეს, ერთი თვის ვადაში შეისწავლონ ყველა იმ პირის საქმე, რომელთა მიმართაც გამოითქვა ეჭვი, რომ ისინი პოლიტპატიმრები არიან და წარუდგინონ დასკვნა სახელმწიფოს მეთაურს საქართველოს პარლამენტში ინფორმაციის გასაკეთებლად.
2. ეთხოვოთ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის თავმჯდომარეს გ. ლორთქიფანიძეს, პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარეს შ. ნათელაშვილს მონაწილეობა მიიღონ აღნიშნული საკითხის შესწავლაში და თავიანთი დასკვნები წარუდგინონ პარლამენტს განსახილველად.

ე. შევარდნაძე.

თბილისის დამოუკიდებელი

უნივერსიტეტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისთვის შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. სამართალმცოდნეობა;
2. საგარეო უწყებათა მომსახურეობა;
3. საერთაშორისო ჟურნალისტიკა;
4. უცხო ენები (ინგლისური, გერმანული);
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი.

საბუთების მიღება იწარმოებს 28 ივლისიდან 10 აგვისტომდე, ყოველდღე (გარდა შაბათ-კვირისა) დღის 10 საათიდან 15 საათამდე.

გამოცდები ჩატარდება 10 აგვისტოდან 15 აგვისტომდე, პირველ ოთხ ფაკულტეტზე შემსვლელთათვის შემდეგ საგნებში:

- ქართული ენა და ლიტერატურა;
- საქართველოს ისტორია;
- უცხო ენა.
- მათემატიკა — საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ფაკულტეტზე შემსვლელთათვის:
- ქართული ენა და ლიტერატურა;
- საქართველოს ისტორია;
- უცხო ენა;

საჭირო საბუთები: საშუალო განათლების ატესტატი; ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან № 1; ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფ. № 086; 6 ც. ფოტოსურათი (3X4).

მისამართი: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი,
ვ. ბერიძის ქ. № 6, მართვის ინსტიტუტი.
მთავრობის სახლის უკან,
შესასვლელი ყოფ. ჩიტაძის ქუჩიდან.

რექტორატი

თევზსაც [illegible]... სათქმელი

(დასასრული)

ცილები თოლია, ვიდრე გემთმშენებლობა. ისე, გასარემონტებელი გემი უბრალო. გემები არ გეგონოთ. ეს არის რთული მექანიზმებით აღჭურვილი, ფაქტობრივად, მცურავი ქარხანა, რომელიც თევზს ჭრის, ყინავს, მისგან ზეთსაც ამუშავებს და კონსერვებსაც უშვებს. ამას ისიც ემატება, რომ ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციის გეგმის მიხედვით „საქთევზმრეწვს“ გემთსადგომიც არ რჩება. მაგალითისათვის ერთი ფაქტიც გამოდგება: ამ ქარხანაში გემი „იმერეთი“ 1990 წლიდან რემონტდება, მაგრამ დასრულებას ბოლო არ უჩანს.

— საინტერესოა, რა ბედი ეწია „საქთევზმრეწვში“ შემავალ საწარმოებსა თუ მეურნეობებს, სავაჭრო-გამხალებელ ორგანიზაციებს.

— გეტყვით. ფოთის თევზის მრეწველობის საწარმოების გარდა, ყველა სხვა საწარმო გაემიჯნა „საქთევზმრეწვს“. ისინი გავიდნენ გაერთიანებიდან და აღარ ასრულებენ თავის ძირითად დანიშნულებას, არ ეწევიან თევზის რეწვას. ასევე დაემართა მეთევზეთა კოლმეურნეობებს, რომელთა სანაპირო ბაზები და თევზსაჭერი ფლოტი ორიენტირებული იყო შავი ზღვის ქაფშიის რეწვასა და გადამუშავებაზე. დღეისათვის იქაც მძიმე მდგომარეობაა შექმნილი, ფლოტი განახევრებულია. ნაწილი გემებისა კერძო პირთა მფლობელობაშია. მათ ისინი სამგზავრო გემებად გადააკეთეს და ახლა კომერციული სტრუქტურებისა და სხვათა ტვირთების გადასატანად იყენებენ. სატბორე მეურნეობები სხვადასხვა უწყებებსა და რაიონებს დაექვემდებარა. ისინი დაიქსაქსნენ და ბევრი მათგანი აღარც ფუნქციონირებს.

„საქთევზმრეწვგასაღება“ ჯერ ვაჭრობის სამინისტროს გადაეცა, ხოლო მერე „საქსურსათბითუმვაჭრობას“ შეუერთდა. რა თქმა უნდა, ეს არასწორია. თავისი სპეციფიკურობის გათვალისწინებით იგი თევზის მრეწველობას უნდა ეკუთვნოდეს.

რაც შეეხება თევზდაცვის ფუნქციას, რომელიც ფაქტობრივად თევზჭერას არეგულირებს და ხელს უწყობს ენდემური ჯიშის თევზების ხელოვნურ აღწარმოებას, იგი დღეისათვის საქართველოში დაკარგულია. აღარ არსებობს ოდესღაც საკმაოდ მძლავრი თევზდაცვის ორგანო და ამჟამად რამდენიმე უწყება ცდილობს ამ ფუნქციის მითვისებას. ვფიქრობ, თევზდაცვის ინსპექცია აუცილებლად უნდა აღდგეს საქართველოში.

— და მაინც, არსებობს თუ არა შანსი საქართველოში მეთევზეობის აღდგენა-განვითარებისათვის?

— მიუხედავად ყველაფრისა, ამჟამად არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჯერ კიდევ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გარკვეული რადიკალური სტრუქტურული, სამეურნეო და ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელების შემდეგ თევზზე რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილება მინიმუმამდე მაინც დაკმაყოფილდეს, ამასთან, უზრუნველვყოთ რესპუბლიკაში მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საჭიროებისათვის პროდუქტების წარმოება.

ამისთვის კი აუცილებელია სახელმწიფო კონცერნ „საქთევზში“ თავი მოიყაროს ყველა იმ საწარმომ, მეურნეობამ თუ ორგანიზაციამ, რომლებიც ადრე ამ სისტემაში იყვნენ გაერთიანებული. ამასთან, ძირითადი როლი უნდა დაეკისროს ფოთის საოკეანო თევზსაჭერ ფლოტს და იქ განლაგებულ თევზის გადამამუშავებელ საწარმოებს.

მისაღებია ფოთის მერიის მოთხოვნაც იმის თაობაზე, რომ შეიქმნას გაერთიანება „ფოთთევზი“, რომელიც კონცერნ „საქთევზს“ დაექვემდებარება.

ბუნებრივია, საზღვაო და საოკეანო ფლოტის [illegible] გარეშე შეუძლებელია. ფოთის გემთშეკეთებელ-გემთმშენებელი ქარხანა, როგორც ეს 1988 წლამდე იყო, იურიდიული პირის უფლებით უნდა შევიდეს კონცერნ „საქთევზში“. ამ შემთხვევაში ქარხნის ტერიტორიაზე არსებული გემთსადგომები თევზსაჭერი ფლოტის განთავსების შესაძლებლობას მოგვცემს. ერთიანი ინტერესების პირობებში შესაძლებელი გახდება, როგორც გემების შეკეთება, ისე გემთმშენებლობის განვითარებაც, ეს დააჩქარებს გემების დროულად ამოქმედებას, გააიაფებს შეკეთების ღირებულებას, საშუალებას მოგვცემს გავახანგრძლივოთ ექსპლოატაციის ვადა.

— თქვენი გეგმები დიდ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, როგორ აპირებთ ვალების დაფარვას და ამასთან, თევზის რეწვის დაწყებას?

— მართალი ბრძანდებით, ჩვენი ფლოტის გემები მორალურად მოძველებულია, მათი 40 პროცენტი საერთოდ ამორტიზებულია, მათი შეკეთება არარენტაბელურია და თევზის გასაყიდ ფასს ისე დააწვება, რომ შეიძლება მოქალაქემ ის ვეღარც კი იყიდოს. ამიტომაც, ვფიქრობთ, მოვძებნოთ ისეთი პარტნიორები, რომლებიც ჯართის სახით შეიძენენ მას. ზოგიერთ ხომალდს გავყიდით და შემოსულ თანხებს დანარჩენი ტექნიკურად უკეთეს მდგომარეობაში მყოფი გემების ასამოქმედებლად გამოვიყენებთ. ანდა ახალი მცირე ფლოტის შექმნისათვის ვიზრუნებთ. ეს უფრო ხელსაყრელი იქნება ჩვენი პირობებისათვის — ნაკლები დანახარჯებით მეტ პროდუქციას მივაწვდით მოსახლეობას. მერე კი ვნახოთ, დროთა განმავლობაში, შესაძლოა ჩვენი ქვეყანა სულაც საკალმახე რესპუბლიკად იქცეს (დანიის მსგავსად), საამისოდ ჩვენთან ხელსაყრელი პირობები არსებობს, ოღონდ მთავარია, მონდომება და ფინანსები.

P.S. ამ დღეებში საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით ყველაფერი ისე გადაწყდა, როგორც სახელმწიფო კონცერნ „საქთევზს“ სურდა. ახლა მთავარია, ქაღალდზე დაწერილი რეალობად იქცეს. იმედია, „საქთევზის“ ხელმძღვანელობას მხარში ამოუდგებიან ყველა იმ უწყებისა თუ ორგანიზაციის თავკაცები, ვისაც ამაზე შესტკივა გული. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს საშვილიშვილო, ჩვენს წინაპართა მიერ დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

მაშინ, ალბათ, ჩვენს სუფრას აღარ დააკლდება არც კალმახი და აღარც ორაგული.

ლალი ქინქლაძე.

ხიდები

იმსჯელეს შავი ზღვის აუზის ქვეყნების პრობლემებზე

სტამბოლში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „შავი ზღვის რეგიონი: თანამშრომლობა და კონფლიქტები“. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტი (ნიუ-იორკი, აშშ) და ბოსფორის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის ცენტრი (სტამბოლი, თურქეთი).

კონფერენცია ფრიად წარმომადგენლობითი იყო: მასში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთის, შავი ზღვის აუზის ქვეყნების გამოჩენილი მეცნიერი პოლიტოლოგები და ეკონომისტები, თურქეთში აკრედიტებული საელჩოებისა და საკონსულოების წარმომადგენლები, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა დაწესებულებების წამყვანი მუშაკები, შავი ზღვის აუზის ქვეყნების მუდმივმოქმედი საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის სამდივნოს წარმომადგენლები.

თურქეთის დიდი მეჯლისის სპიკერის ჰიუსამეთინ ჯინდორუკის დავალებით კოფერენცია გახსნა მეჯლისის ვიცე-სპიკერმა, კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა ბოსფორის უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ბუსთუნ ერგუდერი.

კონფერენციაზე მოისმინეს და განიხილეს მოხსენებები. „იმპერიიდან ერისაკენ?“ — პროფესორი კარენ ბარკი (კოლუმბიის უნივერსიტეტი); „პოლიტიკური რეჟიმები და პოლიტიკური ცვლილებები შავი ზღვის რეგიონში“ — პროფ. ა. მოტილი (კოლუმბიის უნივერსიტეტი); „გარდამავალი ხანის ეკონომიკის პრობლემები შავი ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონში“ — პროფ. რ. ერიქსონი (კოლუმბიის უნივერსიტეტი); „უშიშროების საკითხები შავი ზღვის რეგიონში“ — მომხსენებელი პროფ. ჯ. სნაიდერი (კოლუმბიის უნივერსიტეტი).

კონფერენცია მეტად საინტერესო და ორიგინალური ფორმით მიმდინარეობდა. ყოველი მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოდიოდა ერთი ან ორი ოპონენტი, რომლებიც ძალზე კრიტიკულად აფასებდნენ მოხსენების დადებით და უარყოფით მხარეებს, ამას კი მოსდევდა ხანგრძლივი და სერიოზული დისკუსია. ბოლოს გაიმართა პლენარული სხდომა, სადაც ყველას ჰქონდა საშუალება გამოეხატა თავისი შეხედულება განხილული პრობლემების ირგვლივ. ზოგადი თეორიული პრობლემებიდან თანდათანობით ხდებოდა გადასვლა კონკრეტულ და კერძო პრობლემებზე (ეკონომიკა, უშიშროება და სტაბილურობა, რეგიონში კონფლიქტები და მათი მოწესრიგების შესაძლო გზები და ა. შ.).

კონფერენციის დასასრულს ამერიკული მხარე იძულებული გახდა უარი ეთქვა რეგიონის ოკეანის გადაღმიდან აბსტრაქციულ ხედვაზე. რად ღირს, მაგალითად, პროფ. ჯ. სნაიდერის თავდაპირველი მტკიცება, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ნებისმიერი ფორმით გაერთიანებაზე. ამ თემაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ პირობითად, იგი საერთოდ არ არსებობს, ასეთივე წარმატებით შეიძლება ვიმსჯელოთ ჩრდილოეთ ამერიკის დიდი ტბების რეგიონის შესახებაც. მას განვუმარტეთ, რომ შავი ზღვის აუზის ქვეყნებს აერთიანებს ღრმა გეოგრაფიული, ისტორიული, ეკოლოგიური და კულტურული ფესვები და რომ ამჟამად რეგიონში არსებული კონფლიქტები, პირველ ყოვლისა, განპირობებულია პოლიტიკური ფაქტორებით; ამას გარდა, რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობა არსებობს არა მარტო დე-ფაქტო, არამედ დე-იურე 1992 წლის ივნისიდან, როცა 11 ქვეყნის მეთაურებმა ხელი მოაწერეს შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის დეკლარაციას, რომ შექმნილია საპარლამენტთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო დაწესებულებების ქსელი და უკვე გაიმართა რეგიონის საგარეო საქმეთა მინისტრების ოთხი შეხვედრა (მეოთხემ, რომელიც 1994 წლის 30 ივნისს თბილისში მოეწყო, დიდი წარმატებით იმუშავა, საქართველოს დელეგაციამ იქ დააყენა საკითხი რეგიონული ბანკის, ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის შექმნის შესახებ, აგრეთვე განიხილეს უფრო მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის, ბიზნესის გაფართოების, სამეცნიერო კადრების ერთობლივი მომზადების საკითხები).

მონაწილეებმა გაითვალისწინეს კონფერენციაზე დასმული პრობლემების დიდი მნიშვნელობა, აგრეთვე რეგიონში პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის სირთულე და გადაწყვიტეს, რომ მათი განხილვა გაგრძელდეს (შემდგომი კონფერენცია ამავე თემაზე საორიენტაციოდ გაიმართება წლის ბოლოს ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტის ბაზაზე), სადაც ყურადღება გამახვილდება ყველაზე აქტუალურ და კონკრეტულ საკითხებზე; რეგიონში კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები და მათი მოგვარების შესაძლო გზები, პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევა, პრივატიზაციისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაჩქარება და რეგიონში უშიშროების პრობლემები, რათა პოლიტიკურ მოღვაწეებს წარედგინოთ მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები მათ გადასაწყვეტად.

ჩვენ შევიტანეთ წინადადება, რომ შავი ზღვის აუზის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებული მესამე სამეცნიერო კონფერენცია მოეწყოს თბილისში, 1995 წლის გაზაფხულზე ან ზაფხულში, რასაც კონფერენციის ხელმძღვანელობა მიესალმა.

ზიზი ჯანჯღავა,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის გამგე,

კონსტანტინე ჟღენტი,
საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი.

სარედაქციო ფოსტიდან

მე თქვენი გზით ვერ ვივლი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 14 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული წერილის „ესეც შენი რჩეული“ წაკითხვამ, რომელიც აშკარად შეთითხნილი პასკვილია და ჩემს დისკრედიტაციას ისახავს მიზნად, ერთი ქართული შეგონება გამახსენა — „მამა მყავდა ხარაზი და მე ნალბანდობას რა მრჩიდა?“. მე კი გავიხსენე, მაგრამ წერილის ავტორს, ბატონ კუკური კურტანიძეს იგი ან არ სცოდნია, ან დავიწყებია, სხვა ტვირთის ზიდვას შესდგომია, ღმერთიც არ გახსენებია, იუდას სამსახურში ჩამდგარს, ცოდვა ჩაუდენია, თორემ ასე რატომ გაირჯებოდა, ან რაში დასჭირდებოდა სამი წლის წინათ, არეულ ქვეყანაში, ომის დროს, ვის გამოვართვი 12 ცალი პისტოლეტი და სად წავიღე? დიახ, საკითხავია, რაში დასჭირდა ამ ფაქტის ძიება და უსირცხვილო კომენტარი?!

შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, იმ დროს სამხედრო თუ პოლიციის იარაღის მთელი არსენალი იქნა დატაცებული და დღესაც ამ იარაღით კვდება ბევრი მამულიშვილი. მე კი ნინოწმინდის მილიციიდან იარაღი თუ წამოვიღე, ხელწერილითაც დავადასტურე, და ვითომ რატომ უნდა მეთვლებოდეს იგი ქვეყნის ღალატად, ასე ძალიან რომ აუღელვებია კ. კურტანიძე. ვერ გამიგია რაში მოვატყუე ჩემი ათასობით ამომრჩეველი, ასე თავგამოდებით რომ აფრთხილებს ავტორი, ხომ ხედავთ თქვენს „რჩეულს“ რა ბნელი საქმეები აქვს გაკეთებულიო?!

წერილის ავტორს ფაქტისადმი დაინტერესებაში ვერ შევედავები, თანაც კაცს, რომელიც აცხადებს ბალიაშვილის არ მეშინიაო. მართლაც, არა ვარ მე მისი შემშინებელი, მაგრამ თავისა და სიმართლის დაცვისათვის შევედავები, დავიფიცებ სინდისის, ღმერთის წინაშე, რომელთანაც, ეტყობა, მწყრალად არის ჩემი ოპონენტი, პასუხს ნამდვილად მოვთხოვ, მკითხველს, უპირველესად ჩემს ამომრჩევლებს, ფაქტის რეალურ მხარეს გავაგებინებ.

საქმე კი შემდეგში იყო: ახალციხის რაიონში ჩემი პრეფექტის მოადგილედ მუშაობის პერიოდში სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაციულ ორგანოებზე გახშირდა თავდასხმები, იარაღის გატაცებები. 1991 წლის დეკემბერში ყაჩაღებმა ჩვენი რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებიდანაც გაიტაცეს იარაღი და პოლიცია მთლიანად განიარაღებული დატოვეს. თბილისში ბრძოლები მიმდინარეობდა, იქიდან იარაღის მომცემი არავინ იყო. იძულებული გავხდი ჩვენვე მოგვეძია იარაღი რაიონის მილიციისათვის. და აი, მეც ნინოწმინდის მილიციის ხელმძღვანელობას მივაკითხე, სადაც წლების განმავლობაში ვმუშაობდი (რაიკომის პირველი მდივანიც ვიყავი). ამ ფაქტს წერილის ავტორი ჩემს დასამცირებლად იყენებს, უსაქმურობას და „ერის საუკეთესო შვილობას“ მაბრალებს.

მინდა დავუდასტურო, ყოფილ მდივანს იქ მომისმინეს, სამსახური არ დამიკარგეს და გაჭირვების მიუხედავად, 12 ცალი პისტოლეტი გამომატანეს. იქნებ ეს არ არის ავტორიტეტი? იქნებ იარაღის გამოტანა კ. კურტანიძეს გადასაგდები ტვირთის ზურგზე მოგდება ჰგონია?!

იარაღი წამოვიღე და აქტით, რომელიც ასე გაბედულად მოჰყავს ავტორს, იმავე დღეს თერთმეტი ცალი ახალციხის მილიციის განყოფილებას ჩავაბარე, ერთიც (ასევე აქტით) მოგვიანებით ჩააბარა სხვა ოფიციალურმა პირმა. შემდგომში თორმეტივე პისტოლეტი უკან დაუბრუნდა ნინოწმინდის რაიონის მილიციას.

ასე რომ, ბატონ კ. კურტანიძეს ძალიანაც რომ უნდოდეს, ხალხს ვერ დააჯერებს პრეზიდენტყოფილის გადასარჩენად ჩემს მეჭურჭლეთუხუცესობაში, ვინაიდან გაქცეულს ნამდვილად არ ჰქონდა იმის თავი, ჩემთვის დაებრუნებინა იარაღი იმის შიშით, იქნებ მომკვდარიყო და ვინღა დამიცავდა მის „ერთგულ ჯარისკაცს“ კ. კურტანიძის თავდასხმისგან. არ ყოფილა, ბატონო, ამის მსგავსი არაფერი და რა ვქნა ახლა?!

ამ წერილ-პასკვილის შინაარსი ჩემთვის ძალზე მარტივია, ბატონი კ. კურტანიძე იუდას სამსახურს უწევს თავისზე უფროსებს, ჰგონია, ამით გადაარჩენს მათ და ისიც გადარჩება (ხელი ხელს ბანს). ისიც ნათელია, თუ რატომ განუზრახავთ ჩემი ჩაწიხვლა — სურთ ხალხის თვალში ავტორიტეტი შემილახონ. არ ამბობს, მაგრამ ხალხთან მიმართებაში ჩემი ავტორიტეტისა მას და მის მსგავსთ ნამდვილად ეშინიათ, განკითხვის დღეც იქნება შორს არ იყოს და უნდათ საიდუმლო სერობიდან დაკვალიანებული გამოვიდნენ.

მინდა საჯაროდ ვუთხრა — ნუ შიშობთ, ბატონებო, თქვენი გზით მე ვერ ვივლი, თქვენს საქმეებში მე ვერ შეგედავებით, ვინაიდან მსგავსი არასოდეს მიკეთებია. ისე, ერთს მაინც გირჩევდით, თქვენი ახლობლებისა და რაიონის მოსახლეობის წინაშე რაც ნაკლებ არაკაცობას ჩაიდენთ, თქვენთვის მით უკეთესი იქნება.

ჩემი წარსულის გამო კი ვიტყოდი: უძველეს ქართულ მიწას, მის მოსახლეობას, როგორც შემეძლო თოთხმეტი წლის განმავლობაში ისე ვემსახურე, ხუთი ქართული სკოლის გახსნის ზარს ჩემი მოკრძალებული შრომით, თანამოაზრეებთან ერთად დავესწარი, მიტოვებულ, დანგრეულ და გავერანებულ ეკლესიებს სიცოცხლე დავუბრუნეთ, ქართველთა ისტორიულ ნაფუძვრებზე ქართველები ავაღორძინეთ, ქართულ საპატრიარქოს მამულები დავუმკვიდრეთ, ბოგდანოვკას ქართული სული ჩავბერეთ და ნინოწმინდად მოვნათლეთ. თქვენ ეს დღემდე ვერ შეგითვისებიათ და წერილში ნინოწმინდას ბრჭყალებში იხსენიებთ.

ყოველივე ამის შესახებ იქნებ ჰკითხოთ იქ მცხოვრებთ. არა მგონია დღეს საერთო გაჭირვებაში მყოფმა ქართველებმა, სომხებმა, ჩამოსახლებულმა ძმებმა აჭარლებმა დაივიწყონ და სიმართლე არ გითხრან. მაგრამ თქვენ ეს არ გაინტერესებთ, ვინაიდან გგონიათ მუდამ სიბნელეში მოგვიწევს ყოფნა.

ბატონი კ. კურტანიძე იმუქრება „თუ ვინმე დაინტერესდება მისი პიროვნებით, მობრძანდეს ახალციხეში და სხვა ფაქტებსაც დავამატებთო“. ეს შეიძლება მისი ახალი პასკვილის წინაპირობად მივიჩნიოთ. მოკრძალებულად ვთხოვ რედაქციას გაითვალისწინოს ფაქტების სიზუსტე, რომ თავი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდოს.

ვალიკო ბალიაშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი.

რედაქციის მინაწერი: გაზეთის ფურცლებზე ბატონ კუკური კურტანიძის გამოსვლის შემდეგ რედაქციაში შემოვიდა საქართველოს საპატრიარქოს, ნინოწმინდის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის და მოსახლეობის, ახალციხის რაიონის ამომრჩევლების ბატონ ვალიკო ბალიაშვილისადმი მხარდამჭერი წერილები. ამით ვამთავრებთ ამ საკითხზე პუბლიკაციებს. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში მხარეებს ვთხოვთ, რომ სასამართლოს მიმართონ.

---

150 მილიონი კი არა...

პროფკავშირების კურორტების მართვის საბჭოს ბორჯომის სანატორიუმ „ფიროზას“ კოლექტივი შეძლებისდაგვარად მომზადებული შეხვდა საზაფხულო სეზონს. სანატორიუმში ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური დასვენებისა და მკურნალობისათვის. ამჟამად 24-დღიანი საგზური 82 მილიონი კუპონი ღირს. ვითვალისწინებთ რა მოსახლეობის მდგომარეობას, არ ვაპირებთ საგზურის გაძვირებას ისე, როგორც იყო გათვალისწინებული, რის შესახებაც „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაწერა ბატონმა რ. ცუცქირიძემ, თითქოს 150 მილიონი კუპონი ღირდეს და კიდევაც გაძვირდება...

ჩვენი კოლექტივი ყველა მსურველს გულითადად ვეპატიჟებათ სანატორიუმში სამკურნალოდ, ჯანმრთელობის აღსადგენად, ჩვენს გვერდით, პარკში ნატურალური „ბორჯომის“ წყლის სასმელად.

საგზურების შეძენა შეიძლება თბილისში; შრომის სასახლეში კურორტების მართვის რესპუბლიკურ საბჭოში და ადგილზე, სანატორიუმში.

ნარგიზა შალიბაშვილი,
სანატორიუმ „ფიროზას“ მთავარი ექიმი.

ვახტანგ გოგუაძე შეხვდა ლასლო საბოს

27 ივლისს ზუგდიდში შედგა საქართველოს პარლამენტის სპიკერ ვახტანგ გოგუაძის შეხვედრა გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა ჯგუფის წევრთან, პოლკოვნიკ ლასლო საბოსთან. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის უმართებულოდ გაჭიანურების შესახებ, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების შემოსვლით, ფაქტობრივად, უნდა გადაჭრილიყო კონფლიქტის ზონაში არსებული ყველა პრობლემა. მაგრამ, ეს სადღეისოდ რეალურად არ ჩანს. გამოითქვა საერთო აზრი, რომ დღეს რუსეთის ფედერაციული საბჭოს წევრების ჩამოსვლით უშუალოდ ადგილზე მიღებული ინფორმაციის შემდეგ ბევრი კონკრეტული საკითხი ლტოლვილთა მშობლიურ ადგილებში უსაფრთხოდ დაბრუნებასთან დაკავშირებით დადებითად გადაწყდება.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი, სახელმწიფო მინისტრი გივი ლომინაძე და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლონდერ ცაავა.

საქართველო-თურქეთის თანამშრომლობა ღრმავდება

27 ივლისს საქართველოს ვიცე-პრემიერმა ზურაბ კერვალიშვილმა მიიღო თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს ხელმძღვანელი უმუთ არიქი.

ბატონმა არიქმა წარმოადგინა საქართველოსა და თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს ერთიანი მუშაობის პროექტი.

კანონი ყველასათვის ერთია

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურების განცხადება

საზოგადოებრიობა ინფორმირებულია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი უკვე რამდენიმე დღეა შიმშილობს. როგორც მანვე განაცხადა, იგი ამ აქციას გააგრძელებს მანამდე, ვიდრე არ დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნები.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ირაკლი წერეთელი პრეტენზიებს უყენებს საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებსაც.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურები უფლებამოსილი არიან განაცხადონ:

ირაკლი წერეთლის მიმართ ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 ნაწილით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარების გამო.

გამოძიებით დადგენილია შემდეგი:

წლეულს, 9 ივლისს, შემოწმების მიზნით მაჩაბლის ქუჩაზე გააჩერეს გაზ-31 029 მარკის ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით 23-11 გაი, რომელშიც მძღოლთან ერთად თვით ირაკლი წერეთელიც იმყოფებოდა. ავტომანქანის სალონში აღმოჩნდა „აკ-74“ ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ერთი მჭიდით და 26 საბრძოლო ვაზნით, მაუზერის ტიპის პისტოლეტი 11 საბრძოლო ვაზნით. ამ უკანასკნელზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ პოლიციას გაცემული აქვს ნებართვა მისი შენახვისა და ტარების უფლებით. თუმცა, ეს უფლებაც ძალადაკარგული იყო, რადგან წლეულს, 15 მაისიდან ამოქმედდა პარლამენტის მიღებული კანონი ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ პრესისა და ტელევიზიის საშუალებით რამდენჯერმე მიმართა მოსახლეობას: რომ იმ პირებს, რომლებსაც ჰქონდათ მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების უფლება, 1994 წლის 15 ივნისამდე ხელახლა უნდა გაეტარებინათ რეგისტრაციაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ იარაღი ჩაითვლებოდა უკანონოდ და მფლობელი პასუხს აგებდა კანონის წინაშე.

რაც შეეხება ავტომატურ იარაღს, იმავე კანონით გარდა ძალისმიერი სტრუქტურებისა, არავის არა აქვს უფლება იქონიოს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. ამრიგად, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მფლობელობაში არსებული ექვსივე ავტომატური იარაღი უკანონოა.

ამას გარდა, ირაკლი წერეთელი გარეულია კომერციულ მაქინაციაში. კერძოდ, 1993 წლის 10 მაისს მან ოფიციალური წერილით მიმართა რესპუბლიკის ერთ-ერთ ვიცე-პრემიერს შუამდგომლობა გაეწია ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის საშეფო ორგანიზაციისათვის — მუხრანის კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი საწარმოსათვის, რათა მას ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნიდან გამოყოფოდა 180 ტონა ფერომანგანუმი რუსეთში გასატანად და მის სანაცვლოდ რესპუბლიკაში საარსებო პროდუქტების შემოსატანად. გაითვალისწინა რა მოსახლეობის სურსათით მომარაგების მნიშვნელობა, მთავრობამ დააკმაყოფილა ეს თხოვნა. ფეროშენადნობთა ქარხანამ მუხრანის კომბინირებული საკვების გადამამუშავებელ საწარმოს ფაქტობრივად გამოუყო 380 ტონა, რომელიც საწარმოს დირექტორმა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრმა ავთანდილ მწყერაშვილმა მიაწოდა ნოვოლიპეცკის მეტალურგიულ ქარხანას, მაგრამ კომბინატიდან მიღებული 258 მილიონი მანეთიდან არც ერთი კაპიკი არ დახარჯულა საკვები პროდუქტების შესაძენად და საქართველოში გამოსაგზავნად. სამაგიეროდ, მწყერაშვილმა აღებული თანხის ნაწილით შეიძინა 3 ცალი გაზ-31029 მარკის ავტომანქანა, რომელთაგან ერთი საჩუქრად გადასცა ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს დირექტორის მოადგილეს აღნიშნულ ოპერაციაში შუამდგომლობისათვის, ორი ავტომანქანა კი, როგორც მწყერაშვილი აცხადებს, მიაბარა ირაკლი წერეთელს. სწორედ ერთ-ერთ ამ ავტომანქანაში აღმოჩნდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და პისტოლეტი. ამჟამად მწყერაშვილი, რომელმაც სახელმწიფო ბიუჯეტს დაუმალა მოგებიდან მიღებული 106 მილიონი მანეთი, დაკავებულია.

ყოველივე ამის შემდეგ ირაკლი წერეთელი და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი, სამი სხვა დეპუტატი ოფიციალური თხოვნით მიმართავენ შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლონ მათი პარტიის წევრი ავთანდილ მწყერაშვილი.

სამწუხაროა, რომ პარტიის ზოგიერთი ლიდერი და პარლამენტის წევრი არაფრად აგდებს კანონის მოთხოვნებს.

რესპუბლიკის პროკურატურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის საფუძველზე პარლამენტის წევრი, კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე თეიმურაზ ჟორჟოლიანი მხილებულია იმაში, რომ გადაამეტა ხელისუფლების უფლებამოსილებას, ანუ განზრახ ჩაიდინა ისეთი მოქმედება, რომელიც აშკარად ცდილობდა მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა და რწმუნებათა ფარგლებს. ამ ქმედებას ახლდა ძალადობა და იარაღის გამოყენება, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხმყოფელი მოქმედება.

1994 წლის 19 ივნისს თეიმურაზ ჟორჟოლიანი ავტომანქანით მიდიოდა თბილისი-კახეთის მაგისტრალზე თბილისის მიმართულებით. აეროპორტის გადასახვევთან მის ავტომანქანას გადაუსწრო მოქალაქე მერაბ შოშიაშვილმა, რომელსაც გვერდით ეჯდა თბილისის სამგორის რაიონის პოლიციის განყოფილების ექსპერტ-კრიმინალისტი რევაზ შოშიაშვილი. ამ უკანასკნელს ორხევის დასახლებიდან თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში მიჰქონდა ჟანგბადის ბალონი მომაკვდავი მამისათვის.

ავტომანქანის გადასწრებით განაწყენებული ჟორჟოლიანი დიდი სისწრაფით დაედევნა მათ, გადაუსწრო და რძის კომბინატის პირდაპირ მაკაროვის პისტოლეტის მუქარით მერაბ შოშიაშვილი აიძულა, გაეჩერებინა ავტომანქანა. ამის შემდეგ იგი იარაღით ხელში გადმოვიდა ავტომანქანიდან, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მძღოლ მერაბ შოშიაშვილს და მის მგზავრს რევაზ შოშიაშვილს. განაწყენებული ჟორჟოლიანი არ დაცხრა, რევაზ შოშიაშვილმა აუხსნა მას, რომ მომაკვდავი მამისთვის მიჰქონდა ჟანგბადის ბალონი და სთხოვა ნუღარ დააყოვნებდა და გაეშვა ისინი. მაგრამ ჟორჟოლიანმა მათ ისევ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, არც ამას დასჯერდა და პირდაპირი დამიზნებით ერთჯერადი გასროლით მარცხენა ფეხის ტერფში დაჭრა რევაზ შოშიაშვილი, რომელმაც მიიღო მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

თეიმურაზ ჟორჟოლიანის ეს ქმედება შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 187 მუხლის მესამე ნაწილს, რომლის სანქციაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2-დან 8 წლამდე. ამავე კოდექსის მე-8 (პრიმა) მუხლის შესაბამისად აღნიშნული ქმედება განეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

ზემოთ დასახელებული ფაქტები მოწმობს, რომ ცალკეული პოლიტიკური ლიდერები და პარლამენტარები თავიანთ თავს აყენებენ კანონზე მაღლა. უნდა შევახსენოთ მათ, რომ კანონი ყველასათვის ერთია და მისი დარღვევისათვის ყველას ერთნაირად მოეკითხება.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესსამსახური, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთები

კოსმოსური ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი

ქართული ტექნიკური მეცნიერება ისეთივე პრობლემების წინაშე დგას, როგორც მთელი ჩვენი ქვეყანა და ასეთ ვითარებაში შეიძლება მკითხველს გაუკვირდეს კიდეც ის ოპტიმიზმი, რომელიც ერთი შემთხვევის გამო დამეუფლა. განსაკუთრებული თითქოს არაფერი არ უნდა ყოფილიყო იმაში, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალიზებულ სამეცნიერო საბჭოზე რამდენიმე დღის წინათ დაცული იქნა კიდევ ერთი სადოქტორო დისერტაცია. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოში პირველად ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა კოსმოსური დიდგაბარიტიანი საინჟინრო ტექნიკის შემქმნელს — მთავარ კონსტრუქტორს ელგუჯა მეძმარიაშვილს, რომელიც ხელმძღვანელობს მის დაარსებულ კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტს და არის ასევე სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის გამგეც.

წლების განმავლობაში მისი საქმიანობა მკაცრად იყო გასაიდუმლოებული, რადგან საკითხი ეხებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო სტრატეგიულ დანიშნულებას, განსაკუთრებით — კოსმოსური ტექნიკის შექმნას, რომლის უმთავრესი სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი, რა პარადოქსულადაც უნდა მოეჩვენოს მკითხველს, საქართველოში შეიქმნა. ამ მიზნებისათვის ეგრეთ წოდებულმა „ცენტრმა" მთელი კაპიტალი ჩვენს რესპუბლიკაში დააბანდა, რის შედეგადაც მცხეთისა და ბორჯომის რაიონებში აშენდა მსოფლიოში უნიკალური კოსმოსური კონსტრუქციების შექმნისა და გამოცდის სასტენდო კომპლექსები, რომელიც თავისი ბევრი პარამეტრით დღესაც აღემატება რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ანალოგიური დანიშნულების ობიექტებს. მათ ბაზაზე შეიქმნა ჯერ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, შემდეგ ინსტიტუტი, სადაც დამზადდა და კოსმოსურ ორბიტაზე გაიგზავნა დიდგაბარიტიანი კონსტრუქციები, რომლებსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნებათ.

ამ ტექნიკური და ინტელექტუალური განძის შექმნა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, განაპირობა ელგუჯა მეძმარიაშვილის სამეცნიერო პოტენციალმა, მისმა გამოგონებებმა, კონსტრუქციულმა დამუშავებებმა, ფართო ერუდიციამ და ორგანიზატორულმა ნიჭმა. მას უდავოდ „გაუმართლა" იმითაც, რომ არა მარტო „მოსკოვი" ენდო, არამედ ენდო და ფართო გზა მისცა ოთხმოციანი წლების დასაწყისში ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც მოსკოვში წასვლის შემდეგაც ადევნებდა თვალს ამ პრობლემების გადაჭრას. ასევე განსაკუთრებულია დამსახურება ბატონ ჯუმბერ პატიაშვილისა, როგორც რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელისა და აკადემიკოს თეიმურაზ ლოლაძისა, რომელმაც ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე, როცა ელგუჯა მეძმარიაშვილი საინჟინრო ჯარებისათვის გასაშლელი ხიდების პრობლემებზე მუშაობდა, რეკომენდაცია მისცა მას კოსმონავტიკის კორიფეებთან თანამშრომლობისათვის.

ასე უხმაუროდ, ყოველდღიური, დაძაბული გარჯით, გონივრული პოლიტიკითა და ხალასი ნიჭით (და არა შფოთით, ნგრევითა და დაუსაბუთებელი შეპირებებით), ჩვენი რესპუბლიკა წარდგა მსოფლიო ასპარეზზე და წარმოჩნდა ახალი სამეცნიერო სკოლითა და მძლავრი ტექნიკური ბაზით ისეთ პრიორიტეტულ და საპრესტიჟო მიმართულებაში, როგორიც კოსმოსური საინჟინრო კონსტრუქციებია.

ადვილი არ იყო სიძნელეების დაძლევა ასეთ რთულ სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტაში, მაგრამ უფრო ძნელია დღეს ამ ბრწყინვალე შედეგების შენარჩუნება, საქართველოში შექმნილი ვითარების გამო. არა და კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტს ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია: კოსმოსური კავშირგაბმულობის ორიგინალური რეგიონული სისტემა, მიწისზედა ტრანსპორტირებადი რადიოტექნიკური კომპლექსები, გასაშლელი ხიდები და გადასატანი ნაგებობები და სხვა ურთულესი საინჟინრო პრობლემები ინსტიტუტს პრაქტიკული რეალიზაციის დონეზე აქვს დამუშავებული. ვფიქრობ, სწორედ რესპუბლიკის ასეთი ინტელექტუალური პოტენციალი უნდა იქცეს ქართული ბიზნესის განმასხვავებელ სასიცოცხლო თვისებად, სხვანაირად ძნელი იქნება კონკურენციას გავუძლოთ მსოფლიო ასპარეზზე, სხვანაირად ქართველი კაცი ვერც თავის ქვეყანას მოუვლის და ვერც სხვათა პატივისცემას დაიმსახურებს.

როცა კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის შესაძლებლობაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი პოტენციალი, რომელიც მან ახალი ტიპის ინჟინერ-კონსტრუქტორის აღზრდაში მოიპოვა. როცა ამ საკითხზე ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილს გერმანელი სპეციალისტები ესაუბრნენ, მან ჩემთვის გასაოცარი პასუხი გასცა სტუმრებს: ამ საკითხზე ჩვენ სერიოზულად ვმუშაობთ და ჯერ მზად არ ვართო. ახლა, როცა ყველა, ვისაც მოეპრიანება, ბედავს ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის გახსნას, სამეცნიერო მიღწევებითა და უნიკალური ბაზებით მსოფლიოში უკვე სახელგანთქმული კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი, მისი დირექტორი, მთავარი კონსტრუქტორი და მსოფლიო ასტრონავტიკის ასოციაციის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი ელგუჯა მეძმარიაშვილი არ თვლიან თავს მომზადებულად მიიღონ წლეულს სტუდენტთა პირველი კონტიგენტი. განა ამგვარი პასუხისმგებლობა მისაბაძი არ უნდა იყოს სხვათათვის?

დისერტაციის დაცვის შემდეგ (მან ტრიუმფით ჩაიარა) მეგობრულად მივულოცე მეცნიერს და ვკითხე, ხომ არ დაიღალე, ან რას აპირებ ახლა, ამ რთულ ვითარებაში-მეთქი. პასუხი, როგორც ყოველთვის, კონკრეტული და ოპტიმისტური იყო: ვამზადებ წინადადებებს რესპუბლიკის ხელმძღვანელობისათვის პარტნიორებთან ერთად საქართველოში კოსმოსური რეგიონული სისტემის შექმნისათვის, რომელიც შავი ზღვის აუზის ქვეყნებს მოემსახურება; დამუშავებული მაქვს საკითხი რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობისათვის და ვამთავრებ მოსამზადებელ სამუშაოს სტუდენტთა კონტიგენტის მისაღებად ახალი ფართო საინჟინრო პროფილის სპეციალობით.

მჯერა, რომ სიტყვა საქმედ იქცევა, რადგან მისი ავტორია არა მარტო მეცნიერი, არამედ მთავარი კონსტრუქტორიც, რომელსაც ქაღალდზეც ბევრი უწერია, მაგრამ უფრო მეტი ლითონში განუხორციელებია ურთულესი მიწისზედა და კოსმოსური საინჟინრო კონსტრუქციების სახით.

აბული სოხაძე,
პროფესორი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი.

უმაღლესი განათლება: პრობლემების სიუხვე

საერო სასწავლებლებსაც სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს და ეხმარებოდეს კიდეც

საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლების დებულებამ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 17 მარტის დადგენილებით, დიამეტრალურად საპირისპირო გამოხმაურება ჰპოვა სახელმწიფო და არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენელთა მხრივ. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტთან არსებული თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის რექტორს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ კირვალიძეს და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

— ბატონო ნოდარ, საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო სასწავლებლების რექტორთა საბჭომ შეშფოთება გამოთქვა რესპუბლიკის პარლამენტის დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლების დებულების გამო, რადგან, მისი აზრით, დებულების ამოქმედებას შეუძლია მნიშვნელოვნად გააუარესოს უმაღლესი განათლების სფეროში არსებული ისედაც უკიდურესად მძიმე და ქაოსური მდგომარეობა. პირადად თქვენ რამდენად მართებულად მიგაჩნიათ რექტორთა საბჭოს ასეთი განცხადება?

— რექტორთა საბჭოს განცხადება სერიოზულ ანალიზსა და დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს. მასში მოყვანილი მრავალი დებულება ყოველგვარი დავის ფარგლებს სცილდება. აბა რა გამართლება შეიძლება ჰქონდეს რესპუბლიკაში 140-ზე მეტ არასახელმწიფო საერო სასწავლებლის გახსნას. ძნელია არ დაეთანხმო მოსაზრებას, რომ არსებული ვითარების შენარჩუნება „საქართველოში საუნივერსიტეტო და, საერთოდ, უმაღლეს განათლებას სრული ქაოსითა და კატასტროფით ემუქრება". მაგრამ ვერ დავეთანხმებით რექტორთა საბჭოს განცხადებას იმის თაობაზე, რომ „ამ ვითარებაში საქართველოს პარლამენტის დამტკიცებული აღნიშნული დებულება, სამწუხაროდ, მდგომარეობის გამოსწორების რეალურ საფუძველს არ ქმნის".

საქართველოს პარლამენტმა, როცა „საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლების შესახებ" დებულებას თაობაზე დადგენილება მიიღო, მათი დაფუძნებისა და საქმიანობის მოწესრიგების მიზნით, განათლების სამინისტროს დაავალა — მინისტრთა კაბინეტს დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლების საატესტაციო და საკრედიტაციო დებულება და შემადგენლობა, ხოლო დებულებაში ჩაწერა: არასახელმწიფო საერო სასწავლებლებს **უფლება** აქვთ „გაიარონ სახელმწიფო აკრედიტაცია, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება მათი სტატუსი და მიეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების საბუთის გაცემის უფლება". მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიმკვიდრებს საერო უმაღლესი სასწავლებელი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სტატუსს და ამაში არაფერი უნდა იყოს სადაო და შემაშფოთებელი. არასახელმწიფო საერო უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციონირება ასეთი სტატუსის მოუპოვებლად, საერთოდ, გაუმართლებელი ჩანს, და რაც მთავარია, ასეთი უფლების არ თუ ვერ გამოყენების შემთხვევაშიც არასახელმწიფო საერო სასწავლებლები „**ვალდებული არიან** გაიარონ ატესტაცია ლიცენზიის მოთხოვნათა შესაბამისად". ასე რომ, დებულებაში ჩადებულია მექანიზმი, რომელიც ამ სფეროში შექმნილი ვითარების რეგულირების რეალურ საფუძველს ქმნის. საჭიროა ეს მექანიზმი დროულად ამოქმედდეს.

— როგორ ფიქრობთ, ამ მექანიზმის ამოქმედება დაარეგულირებს არსებულ ვითარებას?

— უეჭველად, რადგან საკრედიტაციო კომისიის დებულება, ალბათ, არ შემოიფარგლება სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისათვის დადგენილი სტანდარტებით და გასაცემი დიპლომების ნოსტრიფიცირების მოთხოვნასაც გაითვალისწინებს. ასეთი კი, უკეთეს შემთხვევაში, რესპუბლიკაში მხოლოდ რამდენიმე საერო (და არა მხოლოდ საერო) უმაღლესი სასწავლებელი აღმოჩნდება, და ისიც გარკვეული (დროებითი) შეღავათით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით. იმ სასწავლებლებს, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ აკრედიტაციის მოთხოვნებს, ან არ გაივლიან მას, არ მიეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომის გაცემის უფლება, რაც ლოგიკურად მათ თვითლიკვიდაციამდე მიიყვანს. ასეთ სასწავლებელში სწავლის მსურველი არცერთი ახალგაზრდა არ მოისურვებს შესვლას, ან იქ სწავლის გაგრძელებას. და თუ ვინმეს ჰგონია, ან ფიქრობს, რომ სოციალური თავისუფლება განათლების თავისუფლებას ნიშნავს იმ აზრით, რომ რაც გინდა ის ასწავლო და არ დაემორჩილო განათლების სისტემაში სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს, როგორც იტყვიან, ღმერთმა ხელი მოუმართოს, თუკი ასეთ პრინციპზე დაფუძნებულ სასწავლებელს თავისი მრევლი ეყოლება და სახელმწიფო იგუებს თავის განათლების სისტემაში ამგვარი კერის არსებობას.

— მაგრამ რამდენად შესაძლებელია ასეთი მექანიზმის ამოქმედება არასახელმწიფო საერო სასწავლებლის მიმართ. მეწარმე ხომ თავისუფალია თავის საქმიანობაში?

— დებულება იმის შესახებ, რომ „მეწარმე (მათ შორის ინსტიტუტის, სასწავლებლის მესაკუთრე, დამფუძნებელი) არსებული კანონმდებლობით დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში" იმ დებულების მართებულების საკმაო საფუძველს როდი ქმნის, თითქოს სახელმწიფოს საზოგადოებრივი და სხვა ორგანოების ჩარევა მის საქმიანობაში დაუშვებელია. და რომ ამიტომ ამ სასწავლებლის ატესტაცია თვით მისი სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს კომპეტენციაში უნდა შედიოდეს".

უკვე აქ, ამ პუნქტში ვლინდება არასახელმწიფო საერო სასწავლებლის პრინციპული შეუთავსებლობა მცირე საწარმოს სტატუსთან. მაგრამ ამის თაობაზე ქვემოთ მოგახსენებთ, ამჯერად კი, იმას მინდა ხაზი გავუსვა, რომ არცერთ ცივილიზებულ სახელმწიფოში კერძო უმაღლესი სასწავლებელი თავისუფალი არ არის სახელმწიფო კონტროლისაგან. და თუ ჩვენ, არასახელმწიფო საერო სასწავლებლებს, გვსურს უმაღლესი სახელმწიფო სასწავლებლის სტატუსის მოპოვება, შესაბამისი დიპლომის გაცემის უფლებით, ის ნორმატივები უნდა დავიცვათ და სტანდარტები დავაკმაყოფილოთ, რაც უმაღლესი სასწავლებლებისთვის არის დადგენილი. პარლამენტის მიერ მიღებული დებულება ამის საუკეთესო საშუალებას იძლევა და მის მოთხოვნებში აკრედიტაციისა თუ ატესტაციის შესახებ არა „დაშინება", „უფლებების შეზღუდვა", არამედ მხოლოდ თანადგომა და მხარდაჭერა უნდა ვეძიოთ.

— ბატონო ნოდარ, თქვენ უკვე მიუთითეთ იმ შეუსაბამობაზე, რაც პარლამენტის მიერ მიღებული არასახელმწიფო საერო სასწავლებლის დებულებასა და მცირე საწარმოს კანონმდებლობას შორის არსებობს. ასეთ შემთხვევაში რამდენად მართებულად მიგაჩნიათ არასახელმწიფო საერო სასწავლებლის მცირე საწარმოს სტრუქტურაში ჩართვა და ითვალისწინებს თუ არა იგი უმაღლესი სასწავლებლის სპეციფიკას?

— არასახელმწიფო საერო სასწავლებელი, სახელმწიფო დაწესებულებისაგან განსხვავებით, შესაძლოა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, ასეთ სტრუქტურაშიც იყოს წარმოდგენილი. ეს თავისთავად პრობლემას არ უნდა ქმნიდეს. მთავარია, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდება, შემუშავებული უმაღლესი სასწავლებლის მიმართ, ითვალისწინებდეს ამ უკანასკნელის სპეციფიკას. ემყარებოდეს და ადგენდეს უმაღლესი სასწავლებლის მართვის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმატივებს. ის წესდება, რომელიც დღესდღეობით რესპუბლიკაში მოქმედებს, სავსებით გამოუყენებელია უმაღლესი სასწავლებლისათვის. უმაღლესი სასწავლებლის მართვის უმაღლესი ორგანო, მიუხედავად იმისა, იგი სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულებაა, ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) საბჭოა. აღნიშნულ წესდებაში ასეთი ორგანო დაფიქსირებულიც კი არ არის, რომ არაფერი ვთქვათ მის სტატუსსა და ფუნქციაზე, უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობა და მართვა საბჭოს (სამეცნიერო საბჭოს) გარეშე უბრალოდ ნონსენსია. მაგრამ ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს...

თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ მეწარმე თავისუფალია მის საქმიანობაში სახელმწიფო კონტროლისაგან. გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხოლო არასახელმწიფო საერო სასწავლებლის დებულება, არა თუ უშვებს ასეთ კონტროლს, არამედ მისი არსებობის უფლებამოსილებისა და სტატუსის განსაზღვრის აუცილებელ პირობად მიიჩნევს, ნათელი გახდება, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდება შემუშავებული არასახელმწიფო საერო უმაღლესი სასწავლებლის მიმართ, არსებით კორექტივებს საჭიროებს.

— ბატონო ნოდარ, რა მიგაჩნიათ აუცილებლად იმისათვის; რომ არასახელმწიფო საერო სასწავლებლებმა თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრონ რესპუბლიკის განათლების სისტემაში?

— უპირველეს ყოვლისა. არსებული ვითარების დარეგულირება. საჭიროა დროულად გამოქვეყნდეს საატესტაციო და საკრედიტაციო კომისიის დებულება და განხორციელდეს შესაბამისი ქმედება. მდგომარეობა, მართლაც შემაშფოთებელია. გაუფასურდა და შეილახა სტუდენტის, უმაღლესი სასწავლებლის, რექტორის, თვით უნივერსიტეტის წმინდა სახელიც. აუცილებელი ხდება სახელმწიფო სტრუქტურების აქტიური ჩარევა არასახელმწიფო საერო სასწავლებლების საქმიანობაში.

ფაქტია, ასეთი ჩარევა საერო სასწავლებლების კერძო სტრუქტურაში ჩართვის გამო გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ შექმნილი არაორდინარული ვითარება შესაბამის არაორდინარულ ღონისძიებათა განხორციელებას საჭიროებს. ჩემთვის გაუგებარია, თუ ჩვენ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სტატუსის მოპოვების პრეტენზიას ვაცხადებთ, რატომ უნდა ვთქვათ უარი იმ მოთხოვნათა დაცვაზე, რაც ავტონომიის მქონე სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისათვის არის დადგენილი?

იმისათვის, რომ არასახელმწიფო საერო სასწავლებლებმა თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრონ რესპუბლიკის განათლების სისტემაში, აუცილებელია შემდგომი ორგანოების თანადგომა და დახმარება, ეს უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემის მოგვარებას ეხება. რასაკვირველია, დღეს არსებულ ვითარებაში, როცა რესპუბლიკაში 140-ზე მეტი უმაღლესი საერო სასწავლებელია, ამის მოთხოვნა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, არარეალური ჩანს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ვითარება დარეგულირდება, გაირკვევა თითოეულის სტატუსი და უფლებამოსილება, ასეთი დახმარება აუცილებელი იქნება, თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, სადაც განათლებას მრავალი მეცენატი ჰყავს, კერძო სასწავლებლებს სირითადად სახელმწიფო აფინანსებს და აკონტროლებს კიდეც. საჭიროა დოტაცია, თუნდაც გრძელვადიანი შეღავათიანი სესხი პრივატიზებული (შესაბამისი) ობიექტის შეძენისა და აღჭურვის მიზნით. იჯარით აღებულ შენობაში შეკედლებული უმაღლესი სასწავლებლები ვერ დაიმკვიდრებს კუთვნილ ადგილს რესპუბლიკის განათლების სისტემაში.

— რას გვეტყვით თქვენს პრობლემებსა და პერსპექტივებზე?

— პრობლემები საკმაოდ ბევრი გვაქვს... ამჟამად ინსტიტუტში, კათედრებსა და ფაკულტეტების საბჭოებზე ვმუშაობთ განათლების ახალი კონცეფციის — ორსაფეხურიანი სწავლების (პირველი — ბაკალავრის მომზადების — 4 წელიწადი, მეორე — მაგისტრისა — 6 წელიწადი) დანერგვის მიზნით. იქმნება ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები. სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, ლექციათა კურსები მრავალი მათგანი უკვე დღეისათვის არის გამზადებული, მაგრამ ვერ ხერხდება მათი დასტამბვა ფინანსური პრობლემების გამო. გვყავს მაღალი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლები, მათი 89 პროცენტს სამეცნიერო ხარისხი და წოდება აქვს, ხოლო 43 პროცენტი მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია. ამჟამად იქმნება ახალი კათედრები შესაბამისი საშტატო ერთეულებით ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა საკუთარი კონტიგენტის გაფართოების მიზნით.

— როგორია წლეულს მისაღები კონტიგენტი. როდის და რა ფორმით აპირებთ ინსტიტუტში ახალი შევსების მიღებას?

— ინსტიტუტში 1994-95 სასწავლო წლისათვის აბიტურიენტთა (150) შერჩევა კვლავ მოხდება მისაღები გამოცდების საფუძველზე. მისაღები გამოცდები მოეწყობა განათლების სამინისტროს კოლეგიის დამტკიცებული პროგრამებით მიღება მოხდება იურიდიულ, ეკონომიკისა და სოციოლოგიის ფაკულტეტების დღის განყოფილებებზე, არავითარი საღამო, მით უმეტეს დაუსწრებელი ფორმით სწავლება. ჩვენ მისი წინააღმდეგი ვართ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ბერიტაშვილის სახელობის ინსტიტუტისა და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის ბაზებზე არსებული
თბილისის უმაღლესი სამედიცინო ინსტიტუტი
«მედიკორი»
აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების
სამკურნალო ფაკულტეტზე
(თერაპიის, ქირურგიის, მეან-გინეკოლოგიის და სპორტული მედიცინის სპეციალიზაციით).

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე მოქალაქენი ასაკის შეუზღუდავად. სწავლის ხანგრძლივობა 6 წელია. მისაღები გამოცდები ჩატარდება 20-25 აგვისტოს შემდეგ საგნებში:
1. ბიოლოგია - ზეპირი;
2. ქიმია - ზეპირი

სწავლა ფასიანია. სტუდენტები სწავლის ქირას იხდიან პირველ სექტემბრამდე ყოველწლიურად. გადასახდელი თანხა შემდგომში ყოველ სემესტრში შეიძლება შეიცვალოს ფულის კურსის ცვლილების მიხედვით.

ინსტიტუტს მჭიდრო კავშირი აქვს საზღვარგარეთის ცნობილ მეცნიერებთან, რომლებიც მოწვეულნი იქნებიან ლექციების წასაკითხად. ნავარაუდევია სტუდენტთა გაცვლა საზღვარგარეთის ქვეყნებთან, რის გამოც ინტენსიურად ისწავლება ინგლისური ენა.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე; განათლების მოწმობა (დედანი); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 06); ექვსი ფოტოსურათი (3X4). პასპორტს და სამხედრო ბილეთს, ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე (კვირის გარდა), 1 აგვისტოდან 20 აგვისტოს ჩათვლით, 10-დან 16 საათამდე. აბიტურიენტი ჩაირიცხება სწავლის ქირის გადახდის შემდეგ. სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს.

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 49, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის
(ყოფილი ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი) შენობის IV სართული; ტელ, 23-03-75.
„ღია კარის" დღე გაიმართება 15 აგვისტოს 12 საათზე აკადემიის შენობაში, მე-3 სართულზე, საკონფერენციო დარბაზში.
დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში.

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის
უმაღლესი პროფესიული კოლეჯი
აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

დღის სწავლება
1. მოძრაობის მართვა და გადაზიდვების ორგანიზაცია (ქართული სექტორი - 11 კლასის ბაზა, რუსული სექტორი - 9 კლასის ბაზა);
2. რკინიგზის მშენებლობა და ექსპლოატაცია (ქართული სექტორი - 9 კლასის ბაზა);
3. მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური ექსპლოატაცია და შეკეთება (ქართული სექტორი — 11 კლასის ბაზა, რუსული სექტორი - 9 კლ. ბაზა);
4. სახალხო მეურნეობის დარგის ეკონომიკა და დაგეგმვა (ქართული სექტორი 11 კლ. ბაზა);
5. სამეურნეო საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლი და ანალიზი (ქართული სექტორი - 11 კლ. ბაზა);
6. ელექტრომომარაგება და ენერგეტიკული მეურნეობა (ქართული სექტორი 9 კლ. ბაზა);
7. რკინიგზის ავტომატიკა-ტელემექანიკის ექსპლუატაცია (რუსული სექტორი 9 და 11 კლ. ბაზა);

დაუსწრებელი სწავლება
დაუსწრებელ სწავლებაზე მიღება წარმოებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სპეციალობაში ქართულ და რუსულ სექტორებზე 11 კლასის ბაზით.
საბუთები მიიღება 20 აგვისტომდე, 10-დან 14 სთ-მდე (გარდა შაბათ-კვირისა). მისაღები გამოცდები
1. მათემატიკა (ზეპირი);
2. მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა);
აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ატესტატი (დედანი); 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086უ); 3. ექვსი ფოტოსურათი 3X4; 4. დაბადების მოწმობა (ასლი); დამატებით დაუსწრებელი სწავლებისათვის; 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან და 6. შრომის წიგნაკიდან ამონაწერი.
კოლეჯი ამზადებს მენეჯერებს, რომლებსაც შეუძლიათ იმუშაონ ინჟინრებად, წამყვან ეკონომისტებად და მთავარ ბუღალტრებად, როგორც რკინიგზის ტრანსპორტზე, ასევე მეტროპოლიტენებში, სხვა სახეობების ტრანსპორტზე და სხვა წარმოებებსა და დაწესებულებებში.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ კოლეჯის მიმღებ კომისიას შემდეგ მისამართზე:
თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 138, მეტროს სადგური „მარჯანიშვილი", ტროლეიბუსი № 1,
ტელეფონები: 95-36-68, 99-48-91, 99-33-71.

სააქციო კომერციული ბანკი
„პრაიმ ბიზნეს ბანკი"
აგრძელებს სავალუტო კრედიტების გაცემას შეღავათიან პროცენტებში.
კრედიტების გაცემა წარმოებს ყოველ დღე,
გარდა შაბათისა და კვირისა, 15-00 საათიდან 17-00 საათამდე.
ბანკის მისამართია:
ქ. თბილისი, ვ. ფშაველას პრ. № 16
ტელ: 37-44-51, 93-25-94.

თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი
«გაენათი»
რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე აცხადებს მიღებას
1994-1995 სასწავლო წლისათვის
სამკურნალო-პროფილაქტიკურ ფაკულტეტზე:
ექიმი რეაბილიტოლოგის სპეციალობით,
ექიმი - ფიტოთერაპევტი (ქართული და რუსული სექტორი)
ექიმი - ლაბორანტი
აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს ბარებენ წერით შემდეგ საგნებში: ბიოლოგია, ქიმია, ქართული (რუსული) ენა და ლიტერატურა.
გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები 33 წლამდე.
სწავლა ფასიანია და წარჩინებული სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიას.
მისაღები გამოცდები ჩატარდება 10 აგვისტოდან.
მისამართი: „გაენათი" ქ. წამებულის 55 (მეტრო „300 არაგველი")
ტელ: 74-21-92;
რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო -
ვაჟა-ფშაველას გამზირი № 29 მე-II სართ. ოთახი 211,
ტელეფონი: 39-57-22

ფირმები „ეხტი" (გერმანია),
„დიზაინტექნიკი" (თურქეთი) და
„გზოთუ" (საქართველო) გთავაზობთ
პლასტმასის სანტექნიკურ
გაყვანილობებს, რადიატორებსა და
სარწყავ მილებს.
ვიძლევით ასი წლის გარანტიას,
საიდანაც პირველი ათი წელი 50 ათასი
დოლარით არის დაზღვეული.
ნაკეთობანი არ იჟანგება, ობის სუნს არ
იკიდებს და ეკოლოგიურადაც სუფთაა.
ჩვენს სპეციალისტებს შეუძლიათ
შეღავათიან ფასებში შეასრულონ
სამონტაჟო სამუშაოებიც.
მისამართი: ბათუმში — რუსთაველის ქ. № 3
თბილისში — ნუცუბიძის ქ. № 15
ტელ: 39 80 55 დღისით 66 88 67 საღამოს

ფირმა „ატექსი"
ვაწარმოებთ ბინებისა და ოფისების ხარისხიან რემონტს უმოკლეს ვადებში.
ვამზადებთ ნაბლის მასალის კარ-ფანჯრებს.
ტელ: 37-25-15

რეკლამები დამზადებულია
ფირმა „დრონის"
კომპიუტერულ ცენტრში



„საქკურორტი" საზღვრებს აფართოებს

სახელმწიფო კონცერნი „საქკურორტი" შეუდგა მთელი რიგი წინადადებების განხორციელებას, რომელთა მიზანია რუსული კრედიტების მოზიდვა საქართველოს სანატორიულ-საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში. ისინი ითვალისწინებენ საკურორტო ზონის საზღვრების გაფართოებას, ახალი მსხვილი სანატორიულ-საკურორტო კომპლექსების მშენებლობას, როგორც საქართველოს მთებში, ისე შავი ზღვის სანაპიროზე. სამუშაოთა შესასრულებლად იზიდავენ ახლო და შორეული საზღვარგარეთის დამპროექტებლებსა და მშენებლებს. მაგალითად, თბილისის ბალნეოლოგიური ცენტრის რეკონსტრუქციის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შეადგინეს იტალიელმა სპეციალისტებმა, სამუშაოთა გაქანებას მოწმობს საორიენტაციო ღირებულება, რომელიც სამედიცინო მოწყობილობის გარეშე, სამ მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ბალნეოლოგიურმა ცენტრმა უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს არა მარტო თბილისის, არამედ მთელი საქართველოს ტურისტულ ინფრასტრუქტურაში. პროგნოზით ეს კრედიტი შეიძლება დაიფაროს 2,5-3 წელიწადში.

დამთავრდა ბაკურიანის სასტუმრო „კოხტა გორის", ბორჯომის რაიონის „ლიკანის" სანატორიუმის კომპლექსის, ციხისჯვრის დასასვენებელი კომპლექსის, ქობულეთისა და ურეკის სანატორიულ-საკურორტო კომპლექსების რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სამუშაოები. ინვესტიციების დაფარვა, რომლებიც 10 მილიონ მანეთს აღემატება, შეიძლება 4-5 წლის განმავლობაში.

პარტიას მიაჩნია

საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიას მიაჩნია, რომ ი. წერეთლის ცრუ შიმშილობა დაგეგმილია იმპერიული ძალების მიერ, რათა საქართველოში დაიწყოს ანარქიული პროცესები, ხოლო შემდეგ „წესრიგის" დამყარების მიზნით, მოსკოვმა ჯარები შემოიყვანოს თბილისში. როგორც პარტიის მიერ 25 ივლისს გავრცელებულ განცხადებაში არის ნათქვამი, „გასაკვირია ის ფაქტი, რომ 10 დღის „მოშიმშილე" ენერგიულად ატარებს პრესკონფერენციებს, დადის მიტინგებზე, შეურაცხყოფს პიროვნებებს".

პარტია მოითხოვს საერთაშორისო ექსპერტების ჩამოყვანას, რათა შემოწმდეს ი. წერეთლის შიმშილობის სინამდვილე.

დაუდევრობას ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 27 ივლისს, თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე, მშენებარე ობიექტიდან, მოქალაქე გურამ შანიძეს თავზე დაეცა სამშენებლო ბლოკი. იგი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

საქმეს იძიებს დიდუბის რაიპროკურატურა.

ეს მაწანწალა... ძაღლები

ჩვენს დედაქალაქში მძიმე სანიტარიული მდგომარეობა სუფევს. ყველაფერს მოეძებნება მიზეზი და გამართლება, მაგრამ იმ დროს, როცა ეპიდემიების აფეთქებების რეალური საშიშროება კარს მოგვადგა, ხალხს მიზეზები არ აინტერესებს — მას სურს ცხოვრობდეს სუფთა ქალაქში, გარშემო ნათლად ხედავდეს წესრიგს და ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის სათუთ ზრუნვას.

ანტისანიტარიას კიდევ უფრო ამძაფრებს უზედამხედველო საშიში მაწანწალა ძაღლების სიმრავლე, რაც ცოფისა და სხვა სახის ეპიდემიების გავრცელების პირობებს ქმნის.

სწორედ ამის თაობაზე ვესაუბრეთ ქალაქის სანიტარული დასუფთავების საწარმოო გაერთიანების თავკაცებს.

— მაწანწალა ძაღლების არნახული სიმრავლე, — გვითხრეს გაერთიანების ხელმძღვანელმა მუშაკებმა, — ეპიდემიების გავრცელების საფუძველს ქმნის. რა დასამალია და თბილისელებსაც „ჰყავთ" ე. წ. ხელისშემშლელები. მაგალითად, ბევრი მოქალაქე მაწანწალა ძაღლების დაჭერისა და იზოლირების საქმეშიც წინააღმდეგობას გვიწევს. ამას კი იმით „ამართლებენ", რომ ძაღლები მათ თითქოს იცავენ?! მეტიც, იყო შემთხვევები დაჭერილი ძაღლები რომ გააშვებინეს და ეს იმ დროს, როცა საშიშროება უაღრესად სერიოზულია.

ამიტომ ვურჩევთ თბილისელებს — გამოიჩინონ ინიციატივა უპატრონო ძაღლების დაჭერისა და სადასუფთავებო მეურნეობებში მიყვანის საქმეში. იმასაც გეტყვით, რომ დედაქალაქის ხელმძღვანელობა უხვად აანაზღაურებს იმათ შრომას, ვინც თავს გამოიჩენს ამ საქმეში.

ირაკლი ხვედელიძე,
ომისა და შრომის ვეტერანი.

სტუდენტი თავად გამოიმუშავებს სწავლის ქირას

შარშან, გაზაფხულზე, სწორედ იმ დროს, როცა საქართველოში ძალზე ფართო „შეტევები" დაიწყო კერძო უმაღლესი სასწავლებლების წინააღმდეგ ენთუზიასტთა ჯგუფმა (მიხეილ გურჯიევი, ჯულიეტა მჭედლიშვილი-ბაქრაძე, ნინო გურჯიევი) სწორედ ამ დროს გაბედა და ბერძენთა სათვისტომოებთან შეთანხმებით ძნელად მოსაგვარებელ საქმეს მოჰკიდა ხელი. ეს გახლდათ კერძო უმაღლესი სასწავლებლის გახსნა. ასე შეიქმნა საქართველო-კვიპროსის ერთობლივი საერთაშორისო უნივერსიტეტი — ინტერკოლეჯი. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა სასწავლებლის ვიცე-პრეზიდენტს ქალბატონ ჯულიეტა მჭედლიშვილ-ბაქრაძეს და სთხოვა მკითხველისათვის გაეცნო ინტერკოლეჯის საქმიანობა.

— ჩვენ გამბედაობას გვმატებდა ის, რომ გვწამდა — ჩვენს მიერ ჩაფიქრებული უმაღლესი სასწავლებელი არაფრით დაემსგავსებოდა ნაწვიმარზე სოკოებივით მომრავლებულ ინსტიტუტებსა თუ კოლეჯებს. მთავარი იყო კვიპროსის რესპუბლიკის ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელთან მიღწეული შეთანხმება, რომ თბილისში გახსნილიყო ნიქოზიის ინტერკოლეჯის მსგავსი, სპეციალობათა ფართო პროფილიანი უმაღლესი სასწავლებელი.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი სხვა კერძო სასწავლებლებისაგან იმით განსხვავდება, რომ მხოლოდ ოცდაათ, უკიდურეს შემთხვევაში ორმოც სტუდენტს ვიღებთ. ჩვენთვის მთავარია თითოეული სტუდენტის სურვილებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მთლიანად გამომჟღავნდეს მათი უნარი და ნიჭიერება.

თბილისის ინტერკოლეჯის ხელმძღვანელობისათვის ყველაზე მთავარი საზრუნავი ის იყო, რომ კონსულტანტებად, პროფესორ-მასწავლებლებად საქართველოში ცნობილი სპეციალისტები მოგვეწვია, რითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ამ ეტაპზე სწავლების მაღალი დონე. მეორე კურსიდან სპეციალური საგნები შეძლებისდაგვარად ინგლისურ ენაზე წაიკითხება. ამისათვის მოიძებნა ინგლისური ენის მცოდნე, სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებმაც ჩვენს ინტერკოლეჯში თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

ამჟამად სტუდენტები ორი წლის განმავლობაში თბილისში ისწავლიან, შემდგომ ორ წელიწადს (კურსი ოთხწლიანია) სწავლა კვიპროსის რესპუბლიკაში — ნიქოზიაში, ლარნაკასა და ლიმასოლში გაგრძელდება (იმის მიხედვით, თუ რომელ ფაკულტეტს აირჩევს სტუდენტი). სასწავლო წლის ბოლოს, მაის-ივნისში, სტუდენტები მიემგზავრებიან კვიპროსის რესპუბლიკაში, სადაც საწარმოო პრაქტიკის სახით მუშაობენ ოთხი თვის განმავლობაში.

ერთობლივი საერთაშორისო

ჩვენი სასწავლო ინტერკოლეჯის გარდა თბილისში დაარსდა კვიპროსის ინტერკოლეჯის წარმომადგენლობაც, მრავალდარგოვანი ფირმა — ოფისი, რომელსაც ხელმძღვანელობს ერუდირებული ახალგაზრდა ნიკო სარალიძე. ეს წარმომადგენლობა უზრუნველყოფს სტუდენტთა გაგზავნას კვიპროსის ინტერკოლეჯში სასწავლებლად. იქ სწავლა სტუდენტს წელიწადში 3600 დოლარი უჯდება. თუ მხოლოდ ინგლისურის შესწავლა სურს, წელიწადში 1800 დოლარი უნდა გადაიხადოს. ამ დაწესებულებასთან ჩვენი სასწავლო ინტერკოლეჯი ნაყოფიერად თანამშრომლობს. მაგრამ მათგან განსხვავებით თბილისის ინტერკოლეჯში სწავლა წელიწადში 600 დოლარი ღირს.

საზოგადოების გაცილებით დიდ ნაწილს შესაძლოა ჩვენი სასწავლებელი უფრო აძლევდეს ხელს. თბილისის ინტერკოლეჯის დამაარსებელთა საბოლოო მიზანია საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების ჩაბმა მსოფლიო განათლების სისტემის იმ ნაკადში, რასაც სტუდენტთა სწავლების თვითდაფინანსებას უწოდებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ სტუდენტი სასწავლო სემესტრში ჩვეულებრივად სწავლობს, არდადეგების პერიოდში კი თავისი შრომით აგროვებს იმ თანხას, რომლითაც შემდეგ სწავლის ქირას იხდის. ეს ახალგაზრდას თავისი თავის პატივისცემასა და საკუთარი ძალებისადმი რწმენასაც უნერგავს.

თბილისის ინტერკოლეჯს ძალზე დიდ დახმარებას უწევს მისი დამაარსებელი ორგანიზაცია — საქართველოს ბერძენთა სათვისტომოების ფედერაცია (პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბატონი კირიაკ იორდანოვი) და პარლამენტის დეპუტატი ბატონი დიმიტრი ჩიტლოვი.

ინტერკოლეჯის პრეზიდენტი ბატონი მიხეილ გურჯიევი (ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, გამოცდილი პედაგოგი), რომელიც საქართველოს ბერძენთა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერთაგანია, უნარიანად ხელმძღვანელობს ინტერკოლეჯის საქმიანობას. საბუთად ისიც გამოდგება, რომ თბილისის ინტერკოლეჯის პირველკურსელები ბატონ მიხეილ გურჯიევის მცდელობით კვიპროსში იმყოფებიან და უკვე შეუდგნენ მუშაობას. კვიპროსი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და იქ ადამიანის უფლებები ყოველმხრივ არის დაცული. ჩვენი სტუდენტების უფლებებს კვიპროსის რესპუბლიკაში იქაური ინტერკოლეჯიც იცავს.

მინისტრი წინა ხაზზეა

ოპერატიული ცნობა ძალზე ძუნწია — სულ რამდენიმე სტრიქონი: 22 ივლისს დილის 9 საათზე ბახტრიონის ქუჩის 8/5 სახლში მცხოვრებ ანზორ ჩოგოვაძეს სამსახურში წასვლის წინ, სადარბაზოში დახვდა 4 ნიღბოსანი ბოროტმოქმედი და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით აიძულეს შესულიყვნენ მის საცხოვრებელ ბინაში. „ცხელ კვალზე" თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს და საბურთალოს შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა ერთობლივი ღონისძიების შედეგად ადგილზე დააკავეს კახა ალკაზარის ძე ღლონტი, თორნიკე ჰამლეტის ძე ბუხაიძე, ზვიად დემურის ძე მეგრელიშვილი, ვახტანგ ნიკას ძე კვაშალი...

ამ ცნობაში ნახსენები არ არის თავდასხმის მეხუთე მონაწილე. იგი თავიდან ოჯახის ნათესავად მოიხსენია საინფორმაციო საშუალებებმა... მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ..

...ახლა მე ბატონ ანზორ ჩოგოვაძის ბინაში ვიმყოფები. ყაჩაღური თავდასხმა, რომელიც ათიოდე წუთის შემდეგ ტერორისტულ აქტად ჩამოყალიბდა, ჯერ კიდევ არ განელებულა ოჯახის წევრებისათვის. ისინი მძიმე სტრესის ქვეშ არიან. 9 საათი. დიახ, ცხრა საათის მანძილზე იმყოფებოდნენ შეიარაღებულ ყაჩაღთა პირისპირ, მეშვიდე სართულის საიმედოდ ჩარაზულ ბინაში... ახლა ისინი მაგიდის გარშემო სხედან. გაფითრებული სახეები. უცნაურად აპრიალებული თვალები. ყველაფერი თითქოს მშვიდობიანად, უმსხვერპლოდ დასრულდა. მაგრამ მათ სულში სამუდამოდ დარჩება ამ ტკივილის შედეგი — მოუშუშებელი ნაჭდევი, ისინი ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ ჩამხვდარან, რა შეიძლება დატრიალებულიყო მათ თავზე...

მაშ ასე — დილის 9 საათზე ოჯახის თავკაცმა სამსახურში დააპირა წასვლა. კარი გაიხურა და ავტომატმომარჯვებული უცნობების წინაშე აღმოჩნდა: შებრუნდი და გააღე კარი! „გასაღები არა მაქვს". „ზარი დარეკე" — იყო ბრძანება.

თვითონ ბატონი ანზორი ამ ფაქტს ასე განმარტავს: თავდაპირველად წინააღმდეგობის გაწევა დავაპირე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს უაზრობა იყო. ვერაფერს გავაწყობდი იარაღმომარჯვებულ თავდამსხმელებთან.

ბატონი ანზორი ზარს რეკავს.

მეუღლემ საჭვრეტელიდან დალანდა უცხო პირები. კარს არ აღებს.,. ნუ გეშინია, ესენი მე მახლავან... უთხრა ქმარმა.

იღება კარი და მოვლენები ელვისებური სისწრაფით ვითარდება. მთელი ოჯახი — მეუღლე, ოჯახის თავკაცი, ორი ქალიშვილი საძინებელ ოთახში გაჰყავთ. მათი მცველია ვახტანგ კვაშალი. დანარჩენები უკვე მთელ სახლში „საქმიანობენ". იმსხვრევა ლარნაკი, კარადის თაროზე შემოწყობილი სამშვენისები... ეს კედლიდან სურათების ჩამოღების დროს ხდება... ჩარჩოებიდან დანით ჭრიან სურათებს და მაგიდაზე აწყობენ... გადაიჭრა ტელეფონის ხაზი... ამოაბრუნეს კარადის უჯრები. ეძებენ ფულს, სამკაულებს... ჯერ კიდევ ნიღბებში არიან, სახე მოდური ყელსახვევებით „ბენდენებით" აქვთ დაფარული. ჯერ თავისით ეძებენ. ჯერ კატეგორიული მოთხოვნები არ წაუყენებიათ ოჯახისათვის... ათიოდე წუთის შემდეგ ერთ-ერთი შეშფოთებით წამოიძახებს: მგონი, პოლიცია დაგვადგა.. ფრთხილად იჭვრიტებიან ფანჯრებიდან. სადარბაზოს მისასვლელები „შეკრულია".

ის, რაც მერე მოხდა ჩოგოვაძის ოჯახში, ის, რა ვნებათაღელვაც გარეთ ტრიალებდა ერთი სართულით ქვემოთ მეზობლის ბინაში დაბანაკებულ შტაბში, ფსიქოლოგიური რომანის თემაა. მისი სიუჟეტური ქარგა ძალზე ემსგავსება უცხოურ ფილმებში ნანახ ტერორისტულ აქტებს. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი თავდამსხმელები ეგრეთწოდებული „მძევლების ფაქტორს" მიმართავენ თავის გადასარჩენად...

პოლიცია კარებს უტევს: გააღეთ!..

ერთ-ერთ ქალიშვილს აიძულებენ თქვას, რომ იგი მარტოა შინ და გასაღები არა აქვს.

ბინაში სრული სიჩუმეა.

არის მუქარა: შემოვამტვრევთ! ავაფეთქებთ!.. მეხანძრეებს მოვიყვანთ!

დრო გადის.

— შუადღის სატელევიზიო გადაცემაში (ეს უკვე ვახტანგ კვაშალმა მიამბო) ვნახეთ, რა სიტუაცია იყო ჩვენს გარშემო.. გადავწყვიტეთ მოლაპარაკება გაგვემართა სამართალდამცველი ორგანოების თავკაცებთან...

აღსდგა სატელეფონო კავშირი.

ოჯახში მიდის მოლაპარაკება, რომ მათ „შეიფარონ" ერთი დამნაშავე. თითქოს იგი მათი ნათესავია და შემთხვევით აღმოჩნდა ამ თავდასხმის დროს... ოჯახი თანხმდება ამაზე. ეს გახლავთ ლევან ტოტოჩავა: თბილისის უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი, ოზურგეთელი, თბილისში მამიდასთან ცხოვრობს...

დგინდება ვახტანგ კვაშალის პიროვნებაც.

სწორედ ის აწარმოებს მოლაპარაკებას შინაგან საქმეთა მინისტრთან, ბატონ შოთა კვირაიასთან, უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის მოადგილესთან, ბატონ ავთანდილ იოსელიანთან, ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსთან, ბატონ ღუმურ მიქაძესთან..

პირველი ვარიანტი: გაგვიმზადეთ ავტომანქანა, ბენზინი, ჩვენ გავალთ და წავიყვანთ მხოლოდ ერთ მძევალს... ერთი საათის შემდეგ კი იმ მძევალსაც გავათავისუფლებთ...

აქ არის გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმი...

სახელმწიფოს უშიშროების საგანგებო დანიშნულების რაზმი... ისინი მიიწევენ ჩოგოვაძის ბინისაკენ. გაჩნდნენ სნაიპერები.

ბატონ შოთა კვირაიას განკარგულებით ისინი უკან იხევენ: **არ არის საჭირო!**

თავდამსხმელების შემოთავაზებულ პირველ ვარიანტზე შტაბი ჯერჯერობით თავს იკავებს, — მანქანას მოგცემთ. გამოდით უიარაღოთ!

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ახლა თვით ტერორისტებს შორის ჩნდება ეჭვი: რაღაცას გვიპირებენ! ეს „რაღაცა" მათ ლიკვიდაციასთან იყო დაკავშირებული. გაჩნდა შიში. ეს შიში კიდევ უფრო გაათმაგდა, როცა შტაბში უკვე ოპერატიულად დაადგინეს ზოგიერთი მათგანის ვინაობა.

მოიყვანეს ერთ-ერთი დამნაშავის — თორნიკე ბუხაიძის დედა.

ოპერაციას გენერალ-ლეიტენანტი შოთა კვირაია წარმართავს...

საერთოდ, მძევალის აყვანის დროს არსებობს ოთხი სტანდარტული მეთოდი ტერორისტების დასაკავებლად:

1. სპეცსაშუალებების გამოყენება, რის შემდეგაც ხდება დამნაშავეთა იძულებითი გამოყვანა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ არ დაზარალდნენ მძევლები.

2. სპეცდანიშნულების რაზმის შტურმით შეჭრა ტერორისტთა ადგილსამყოფელში, მაგრამ აქაც შეიძლება მსხვერპლი იყოს.

3. მოლაპარაკება. დამნაშავეთა გაშვება.

4. ავტორიტეტული პიროვნების შესვლა და დამნაშავეთა დაკავება. ეს მეოთხე მეთოდი ყველაზე სარისკო და ხიფათიანი გახლავთ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა სწორედ ეს ბოლო ვარიანტი აირჩია.

ოპერაცია მართლაც რომ ფილიგრანული სიზუსტით მომზადდა. მოსახლეობისაგან გამონთავისუფლდა მიმდებარე ტერიტორია. მთელს იმ უბანს მხოლოდ სპეცდანიშნულების რაზმები აკონტროლებდნენ.

მერე დროებითი დაკავების საკანში ვახტანგ კვაშალი მეტყვის: ახლა რაც ჩვენს სატელეფონო მოლაპარაკებას ეხება. ყველას ხმაში რაღაც მბრძანებლური ინტონაცია იგრძნობოდა, მაგრამ გამაოცა მინისტრის მშვიდმა ხმამ. იგი გვთხოვდა, არ ჩაგვედინა რაიმე სისულელე, რადგან ყოველ გაუთვალისწინებელ მოქმედებას შეიძლება უმართავი სიტუაცია მოჰყოლოდა. მე დავუჯერე.

— რატომ?

— ჯერ ერთი, როცა მინისტრი ხელმძღვანელობს ასეთ ოპერაციას, ცხადია, იქ ჩიხში ხარ მომწყვდეული და სიკვდილის გარდა არაფერი გიხსნის... მაგრამ ჩვენ არცერთს არ გვინდოდა სიკვდილი, მეორეც — მინისტრს თავისი სიტყვა რომ არ შეესრულებინა, მერე, სხვა, ანალოგიურ სიტუაციაში მას აღარავინ ენდობოდა... ეს მარტო მისი ავტორიტეტი კი არა, მთელი პოლიციის ავტორიტეტიც იდო სასწორზე.

— რაზე ფიქრობდი იმ წუთს?

— კრწანისის რაიონში ჩატარებულ მსგავს ოპერაციაზე. მაშინაც ასე იყო. პოლიციამ ყაჩაღები შეისწრო ბინაში, მაგრამ რაც მოხდა, ყველამ იცის...

— მაშინ სხვა მინისტრი წარმართავდა ოპერაციას.

კვაშალმა რაღაც უცნაურად შემომხედა. არის წუთი, როცა მზერა უფრო მეტს გამცნობს, ვიდრე გრძელი დამღლელი საუბარი.

— მე ბატონ შოთა კვირაიას ვენდე...

ამ ნდობის მოსაპოვებლად კი ბატონმა შოთამ საკუთარი სიცოცხლე დადო სასწორზე. განთავისუფლდნენ მძევლები. ტერორისტები სალსალამათი გამოიყვანეს ბინიდან. როცა პოლიციას არ ესვრიან, არც პოლიცია იყენებს იარაღს. პოლიცია მოწადინებულია, რომ კანონიერება არ შეელახოს.

თუმცა, როცა სპეცდანიშნულების რაზმების „დერეფანში" გაატარეს ყაჩაღები, ხალხი აზვირთდა. ვნებებმა კულმინაციას მიაღწია. მთელი საქართველო ცხრა საათის მანძილზე ადევნებდა თვალს ამ ორთაბრძოლას... ახლა ყაჩაღები ხალხის შურისძიებისაგანაც იყვნენ დასაცავი. დაიცვეს კიდეც. მაგრამ ბევრი სალანძღავი სიტყვა და გულისწყრომა დაიმსახურეს.

ადგილზე უნდა მოგვეკლათ!

რად გინდათ, რომ ელოლიავებით!

ბახტრიონის ქუჩაზე ყველა ვარიანტი და წვრილმანი გულდაგულ იყო გათვლილი. მე ერთი რამ მენიშნა, — როცა რესპუბლიკის პოლიციის თავკაცი ხელმძღვანელობს ოპერაციას, თავისი პირადი მაგალითით თავგანწირვასა და ერთგულებას ასწავლის თანამშრომლებს. სხვანაირად რესპუბლიკაში წესრიგი არ დამყარდება. შეუძლებელია ასეთი ოპერაციები კაბინეტიდან მართო. მთავარია პრაქტიკულად აჩვენო შენს თანამშრომლებს როგორ უნდა მოიქცეს, როგორ წარმართოს ორთაბრძოლა... ასე იყო აფხაზეთში, დასავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლსა და კახეთში... ბახტრიონის ქუჩაზე მინისტრმა მსოფლიოში აპრობირებული ყველაზე ჰუმანური, მაგრამ ურთულესი გზა აირჩია: ეს იყო თავგანწირვის ტოლფასი. მე ხშირად მესმის — ზოგიერთ პარტიათა ლიდერები თავიანთ გამოსვლებში დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ზუგდიდში ჩატარებულ ოპერაციებს არაჰუმანურად მიიჩნევენ. ნუ დაგვავიწყდება, რა სიტუაცია იყო დასავლეთ საქართველოში, ომი! დღევანდელი და მაშინდელი სიტუაციის შედარებაც კი არ შეიძლება. იქ შეიარაღებული წინააღმდეგობა იყო. ერთი საათის მანძილზე ისროდნენ. დაიჭრა ჩვენი ორი პოლიციელი, დაიჭრა მინისტრიც. იყო გარდუვალი საშიშროებაც, რომ დაიღუპებოდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანები, მოსახლეობა... გადაწყვეტილებაც ერთსულოვანი იყო — ემოქმედათ კანონის ზუსტი და უმკაცრესი დაცვით. და ეს მაშინ, როცა სულაც არ იყო განსაზღვრული მათი ლიკვიდაცია. მაგრამ დაკავებისას ერთმა მათგანმა ხელყუმბარა ისროლა... ხალხმა ეს იცის.. იმ ხალხმა, რომელიც ვეღარ შეაკავა პოლიციამ.

ვიღაცას არ მოსწონს მინისტრი.

ვიღაცა ისევ ამღვრევს წყალს.

ვიღაცა დღევანდელ ურთულეს ოპერაციას უნიათოდ მიიჩნევს.

საინტერესოა, სხვანაირად როგორ უნდა ჩატარებულიყო — დაეხოცათ ტერორისტები და მძევლები? როგორც ერთხელ უკვე მოხდა?

რესპუბლიკის პოლიცია სულ უფრო მკვიდრად დგება ფეხზე. ბევრი მძიმე დანაშაული, მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის გენერალ გია გულუას მკვლელობასაც ეხდება ფარდა. იმედი გვაქვს, რომ პროკურატურასთან ერთობლივი მუშაობით მალე ამ საქმეს წერტილი დაესმება.

მანამდე კი...

მუდამ ასე მოქნილი, ოპერატიულად მაღალპროფესიული და გაბედული ყოფილიყოს რესპუბლიკის პოლიციის საქმიანობა..

გიორგი სანადირაძე,
გაზეთ „კრიმინალური ქრონიკის" მთავარი რედაქტორი.

ტრიუმფი

ქართველი მკლავჭიდელები — ევროპის ჩემპიონები

21-28 ივლისს თელ-ავივში გაიმართა ევროპის მორიგი ჩემპიონატი მკლავჭიდში. კონტინენტის ყველა უძლიერესმა სპორტსმენმა მოიყარა თავი ამ ფორუმზე, სადაც, ბოლოს და ბოლოს, უნდა გარკვეულიყო, ვინ არის ევროპაში ყველაზე ღონიერი. ჩვენმა ვაჟკაცებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს — მოიგეს 6 ოქროს, 8 ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. ისრაელის ნაკრებმა, თუმცა, ერთი „ოქრო" მოიგო, მეორე გუნდური ადგილი დაიკავა. რუსეთის ნაკრებმა, რომელიც ბოლო ხანებში შესამჩნევად გაძლიერდა კავკასიელი მთიელებით, 8 ოქრო და მესამე გუნდური ადგილი დაისაკუთრა.

60 კგ. სპორტსმენთა შორის ბრწყინვალედ იასპარეზა გია ხაჩიძემ. მან ორჯერ დაამარცხა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი კორიდო ლასსო და ოქროს მედალს დაეპატრონა. 65 კგ-ში თამაზ ჩუტკერაშვილმა ჯერ მოუგო იგორ გრუშნიკოვს, შემდეგ დასანანი შეცდომის გამო დამარცხდა. 70 კგ-ში უძლიერესი იყო 18 წლის ვეფხია სამხარაძე, რომელმაც ყველა გამოცდილი მეტოქე დაჯაბნა. ოთხგზის ევროპის ჩემპიონი გახდა ლერი სალღიანი, რომელმაც მეტოქეებს გამარჯვების არავითარი შანსი არ დაუტოვა.

ევროპის ხუთგზის ჩემპიონი გახდა ჯიმი მერაბიშვილი 80 კგ-ში. მან გზიდან უძლიერესი მეტოქეები ჩამოიცილა — მათ შორის მსოფლიო ჩემპიონი ყაზბეგ ზალოევი. გელა ბეწუაშვილი შარშან ევროპის ჩემპიონი გახდა 75 კგ-ში, ახლა 85-ში იასპარეზა და, ვფიქრობთ, მესამე ადგილი დიდი წარმატებაა. აქ ჩემპიონი გახდა სლოვაკი იან გერმანუსი.

ყველაზე დასანანი იყო კობა თოდაძის მარცხი 90 კგ-ში. მან უმძაფრეს ბრძოლაში დაამარცხა ისრაელის გუნდის წევრი, მსოფლიოს ჩემპიონი არიელ ნირი; მეორე ბრძოლაში, ვითომდა ხელის არასწორად დაყენებისთვის, ინგლისელმა მსაჯმა კობა მოხსნა და გამარჯვება ნირს მისცა. ეს იყო არნახული უსამართლობა ფინალური ორთაბრძოლის დროს.

100 კგ-ში შესანიშნავად იყო მომზადებული ევროპის შარშანდელი ჩემპიონი ზაზა გუჯაბიძე? გუჯაბიშვილი, მაგრამ ოჯახური პირობების გამო ვერ შეძლო ჩემპიონატში მონაწილეობა. ერეკლე გურჩიანი, რომელიც 90 კგ-ს იწონიდა, 100 კგ-ში გამოვიდა და მეორე პრიზიორი გახდა. პირველი იყო მსოფლიო ჩემპიონი ალექსანდრე კუზნეცოვი.

შეჯიბრების გმირად მოგვევლინა დავით ჭელიძე, რომელმაც ლამაზ სტილში ორჯერ დაამარცხა მსოფლიოს 1993 წლის ჩემპიონი, ისრაელის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტსმენი ელი სეფიაშვილი.

ზაურ ცხადაძეს ვერავინ გაუწია ოდნავი წინააღმდეგობა. ფინალში კი დაამარცხა მსოფლიო ექს-ჩემპიონი ძალოსნობაში, რუსეთის ჩემპიონი მკლავჭიდში ასლანბეკ ინალდიევი.

ჩვენი გუნდის ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის გუნდის სპონსორს ავთანდილ საყვარელიძეს, ფირმა „ჯორჯიან ტრანს ოილს", რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა ასე სახელოვნად დაბრუნებულიყვნენ ჩვენი ვაჟკაცები ისრაელიდან.

ვახტანგ მუსელიანი,
პარლამენტის წევრი, საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი, გუნდის მწვრთნელი.

თბილისის დავით აღმაშენებლის
სახელობის კერძო უნივერსიტეტი
აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო
წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ჟურნალისტიკის ფაკულტეტი
1. ტელე-რადიო ჟურნალისტი
უცხო ენების ფაკულტეტი
1. სამეცნიერო-ტექნიკური თარგმნა და საინჟინრო ექსპერტიზა(ინგლისური, გერმანული)
ეკონომიკის ფაკულტეტი
1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა
სამედიცინო აპარატურის ფაკულტეტი
1. ბიოტექნიკური და სამედიცინო აპარატურის სისტემები
იურიდიული ფაკულტეტი
1. სამართალმცოდნეობა
კავშირგაბმულობის ფაკულტეტი
1. კოსმოსური კავშირგაბმულობა
2. ელექტრონული ფოსტა
3. ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობა
4. სპეცდანიშნულების კავშირგაბმულობის სისტემები
5. სატრანსპორტო კავშირგაბმულობა.

აბიტურიენტები ჩაირიცხებიან გასაუბრების საფუძველზე სწავლა ფასიანია. საბუთების მიღება იწარმოება 10 საათიდან 16 საათამდე, ყოველდღე გარდა შაბათისა და კვირისა.
ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი ბევრეთის ქ. №8
ტელ.: 98-78-78, 93-22-88 მეტრო 300 არაგველი
კრწანისის მოედანი (ბაგრატიონის ძეგლი).

ხელოვნება

ფარნაოზ ლაპიაშვილი



77 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის თეატრალურ-დეკორაციული სახელოსნოს ხელმძღვანელი, ქართული სცენოგრაფიის სახელგანთქმული ოსტატი, პროფესორი **ფარნაოზ გიორგის ძე ლაპიაშვილი.**

1942 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მას მერე მხატვარმა არაერთი მნიშვნელოვანი ესკიზი შექმნა დრამატული და მუსიკალური სპექტაკლებისათვის, კინოფილმებისათვის, დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის თეატრალური მხატვრობის მაღალი რეპუტაციის შექმნაში. ნაყოფიერად თანამშრომლობდა თეატრის წამყვან ოსტატებთან, ცნობილ რეჟისორებთან, კომპოზიტორებთან, მრავალწლიანი შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდა გამოჩენილ რეჟისორთან დოდო ალექსიძესთან. მხატვრის მიერ შექმნილი სცენური გარემო საშუალებას აძლევდა ქართული თეატრის დიდოსტატებს სრულად გამოევლინათ შემოქმედებითი შესაძლებლობანი. მის მიერ გაფორმებული სპექტაკლები იდგმებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. მრავალფეროვანია ფარნაოზ ლაპიაშვილის მიერ გაფორმებულ დრამატულ სპექტაკლთა თემატიკა. მათ შორისაა ქართული კლასიკური და თანამედროვე დრამატურგიის მნიშვნელოვანი ნიმუშები, ანტიკური ხანის ავტორთა პიესები, შექსპირის ნაწარმოებები და სხვა. დეკორაციები და კოსტიუმები სოფოკლეს „ოიდიპოს მეფისა", შექსპირის „ჰამლეტის", შილერის „დონ კარლოსის", ბრეხტის „სამგროშიანი ოპერის", გ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანის", პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის", დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონის" და სხვა სპექტაკლებისათვის, ქართული თეატრალური მხატვრობის საგანძურშია შესული. ფარნაოზ ლაპიაშვილი კარგად გრძნობდა მუსიკალური სპექტაკლების თავისებურებებს. მისი ესკიზები დ. თორაძის ბალეტისათვის „გორდა", ო. თაქთაქიშვილის ოპერისათვის „მინდია" და ზოგიერთი სხვა დადგმისათვის, ნათელყოფს მხატვრის უნარს, იგრძნოს კომპოზიტორთა ინდივიდუალობა.

საინტერესო კვალი დატოვა ფარნაოზ ლაპიაშვილმა ქართულ კინომხატვრობაში, რისი მაგალითიცაა ფილმები „ქეთო და კოტე", „ციხკარა", „სასტუმროს დიასახლისი", „დონ-კიხოტი". უკანასკნელ წლებში მხატვარი ბევრს მუშაობდა დაზგურ ფერწერაშიც.

ფარნაოზ ლაპიაშვილის შემოქმედებითი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს შეადგენდა მრავალწლიანი მოღვაწეობა აკადემიის თეატრალური ფერწერის სახელოსნოში, რომლის ხელმძღვანელიც იყო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე. მან აღზარდა თანამედროვე ქართული სცენოგრაფიის წამყვან ოსტატთა უმრავლესობა. პროფესორ ფარნაოზ ლაპიაშვილის გარდაცვალებით აკადემიას ერთ-ერთი გამოჩენილი და გამორჩეული პედაგოგი გამოეცალა.

ე. შევარდნაძე, ო. ფაცაცია, ვ. გოგუაძე, რ. ბერიძე, ვ. რჩეულიშვილი, ი. მენაღარიშვილი, ვ. ასათიანი, ნ. ლეკიშვილი, ე. ამაშუკელი, გ. ბაკურაძე, გ. ბუნია, გ. ლორთქიფანიძე, დ. მაღრაძე, შ. ოზგაიძე, რ. ჩხეიძე, ს. ქორიავა, ნ. ჯანბერიძე, მ. ბერძენიშვილი, დ. თაყაიშვილი, ზ. ნიჟარაძე, ე. შენგელაია, დ. ხახუტაშვილი.

კინოკონცერნ „ქართული ფილმის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი

ფარნაოზ ლაპიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შალვა დათუკიშვილი

გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი **შალვა პართენის ძე დათუკიშვილი.** იგი დაიბადა 1926 წელს, წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში. შრომითი საქმიანობა ადრეულ ასაკში დაიწყო მშობლიურ კოლმეურნეობაში. 1945-1950 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ დაამთავრა ჯერ თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმი, ხოლო 1958 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1958-1959 წლებში მუშაობდა რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში უფროსი ეკონომისტის თანამდებობაზე, ხოლო 1959 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პროფესიული და ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული, საოცრად ენერგიული და შრომისმოყვარე, ყურადღებიანი და ოჯახის მოსიყვარულე ღვაწლმოსილი ადამიანი.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო

გამოსათხოვარი

გიგლა ძიძიგური

აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირმა, გაზეთ „აფხაზეთის ხმის" რედაქციამ მძიმე დანაკლისი განიცადეს — მიმდინარე წლის ივლისს, დაბა გულრიფშში, აფხაზმა ექსტრემისტებმა დახვრიტეს მხცოვანი ჟურნალისტი **გიგლა აკაკის ძე ძიძიგური.**

იგი დაიბადა 1924 წელს, მარტვილის რაიონის სოფელ ხუნწში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო, მეორე მსოფლიო ომში რომ გაიწვიეს.. იქიდან დაბრუნების შემდეგ დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო გულრიფშის რაიონის მერხეულის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, იმავდროულად თანამშრომლობს პრესაში. 1964 წელს გიგლა ძიძიგური დანიშნეს გულრიფშის რაიონული გაზეთის „დროშის" რედაქტორის მოადგილედ, შემდეგ კი გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" („აფხაზეთის ხმა") საკუთარი კორესპონდენტი იყო გულრიფშის რაიონში.

გიგლა ძიძიგური ოჯახის ერთგული დარჩა ბოლომდე — ყველანი სამშვიდობოს რომ იგულა, არ დაიშურა ძალისხმევა, ტყვეობისთვის დაეღწია თავი, მაგრამ ვერას გახდა — აფხაზმა ექსტრემისტებმა არ აპატიეს ამაყ ვაჟკაცს მშობლიური მიწა-წყლის ერთგულება და სიყვარული, წამებით ამოხადეს სული.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის სამართლიან ბრძოლაში დაღუპულ ქართველთა სისხლით მორწყული მშობლიური მიწა.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია;
აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირი;
გაზეთ „აფხაზეთის ხმის" რედაქცია.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომისია სამძიმარს უცხადებს პარლამენტის წევრს, კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ბ-ნ შოთა ძაგნიძეს მამის

სამშე პროკოფის ძე ძაგნიძის

გარდაცვალების გამო.

იყიდება
ცხვარიჭამიაში ორსართულიანი საავარაკო სახლი (7X7), გარემონტებული, ბუხრით, ღია აივნით,
600 მეტრი ეზოთი.
საწყისი ფასი 4000 დოლარი.
ტელეფონები: 93-68-77 დღისით
93-18-08, 93-63-06, საღამოს
31-59-03, დღის განმავლობაში

მთავარი რედაქტორი ნუგზარ ხოზიაშვილი.